სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

Brot für die Welt

მონაწილეობითი ბიუჯეტირების

მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო

თბილისი 2022 © CSI

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო

ავტორი: შორენა კახიძე.

სამუშაო ჯგუფი:
ნათია აფხაზავა, ნინო მღვდელაძე,
ნინო სამსონიძე, დაკო მურადაშვილი, თათა ბოქორიშვილი

ენობრივი რედაქტორი: იოსებ სიმონიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: თემურ ჯალიაშვილი

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა „ადგილობრივი განვითარების აქტორებს შორის მყარი კავშირების დამყარების“ (მეორე ფაზა) პროექტის ფარგლებში, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ახორციელებს ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW) მხარდაჭერით . პროექტი ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რათა საზოგადოებრივ პროცესებში პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობის გზით, მოქალაქეებმა შეძლონ საკუთარი ცხოვრების უკეთ მართვა, კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიღება.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

Brot für die Welt

ადგილობრივი განვითარების აქტორებს შორის მყარი კავშირების დამყარება

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა „ადგილობრივი განვითარების აქტორებს შორის მყარი კავშირების დამყარების“ (მეორე ფაზა) პროექტის ფარგლებში, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ახორციელებს ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის და ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW)-ის შეხედულებებს.

თბილისი 2022 © CSI

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განხორციელებაში, კერძოდ კი, მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემადგენელი - მონიტორინგის და შეფასების პროცესის სრულყოფილად და ეფექტურად წარმართვაში.

სახელმძღვანელოში დეტალურად არის მიმოხილული როგორც მონიტორინგის, ისე შეფასების პროცესის არსი, მნიშვნელობა და მიზნები. მონიტორინგი განხილულია როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეტაპების, ისე მხოლოდ გამარჯვებული პროექტის განხორციელების ჭრილში. რაც შეეხება შეფასებას, სახელმძღვანელოში განხილულია შეფასების ორი სახის მიდგომა, რაც, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტს აძლევს როგორც ერთ-ერთის არჩევის, ისე - მათი კომბინირების საშუალებას.

შესაბამისად, დღეს, როდესაც აქტიურად ხდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა, სახელმძღვანელო მნიშვნელოვან დამატებით რესურსს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების წარმატებით დანერგვის პროცესში.

ადგილობრივი განვითარების აქტორებს შორის
მყარი კავშირების დამყარება

შინაარსი:

შესავალი 4

I. მონიტორინგი 8

II. შეფასება 20

2.1 შეფასება - მიდგომა I 28

2.2 შეფასება - მიდგომა II 50

III. შეჯამება 68

გამოყენებული წყაროები 69

შესავალი

როგორც ცნობილია, კარგი მმართველობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს მმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა წარმოადგენს. მოქალაქეთა თვითორგანიზაციის ფორმების სტიმულირება, ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალო განხორციელებისა და მონაწილეობითი დემოკრატიის ფორმების ხელშეწყობა კი მონაწილეობითი დემოკრატიის სახელწოდებით არის ცნობილი. **მონაწილეობითი დემოკრატია,** ამავე დროს, დეცენტრალიზაციის განხორციელების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მართვის თანამედროვე სისტემებისა და პრინციპების გამოყენებით ეფექტიანად და გამჭვირვალედ უნდა მუშაობდნენ. კარგი მმართველობისა და მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობით მათ უნდა უზრუნველყონ მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესში. შესაბამისად, მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას კი **მონაწილეობითი ბიუჯეტირება (რაც ასევე ცნობილია სამოქალაქო ბიუჯეტირების სახელით) ეწოდება.**

ფართო გაგებით **მოქალაქეთა მონაწილეობა** შეიძლება განისაზღვროს როგორც პროცესი, რომლის საშუალებითაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების შეხედულებები, საჭიროებები და ღირებულებები იქნება გათვალისწინებული. მოქალაქეთა მონაწილეობას ვხვდებით ბევრგან (მაგალითად: სამოქალაქო საზოგადოებაში, საარჩევნო პროცესებში, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ასპარეზზე) და მას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა (მაგალითად, მეთოდები დაწყებული ინფორმაციის გაცვლიდან გაგრძელებული დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებამდე). შესაბამისად, მოქალაქეთა მონაწილეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც არაპირდაპირი, ისე[1] პირდაპირი მონაწილეობა.[2].

მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა 1989 წელს ბრაზილიაში ჩამოყალიბებული მონაწილეობითი ბიუჯეტირება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დემოკრატიული ინოვაცია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, არის მისი მნიშვნელოვანი გავლენა უთანასწორობასთან ბრძოლის, ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისა და საზოგადოებრივ პროცესებში ხალხის მონაწილეობის ზრდის საკითხებზე. კერძოდ, კონკრეტულად ბრაზილიის მაგალითი აჩვენებს შესამჩნევ ეფექტებს საჯარო

1 არაპირდაპირი მონაწილეობა (როგორიცაა მაგალითად ხმის მიცემა ან ადვოკატირების ჯგუფების მხარდაჭერა,) ხდება მაშინ, როცა მოქალაქეები ირჩევენ ან მუშაობენ იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც მათთვის იღებენ გადაწყვეტილებებს.

2 პირდაპირი მონაწილეობა ხდება მაშინ, როდესაც მოქალაქეები თვითონ და აქტიურად არიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რესურსების ღარიბ უბნებზე გადანაწილების კუთხით. ასევე არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჯანმრთელობის საკითხებზე 1996-2000 წლებში ბიუჯეტის უფრო დიდ ნაწილს ბრაზილიის ის მუნიციპალიტეტები ხარჯავდნენ, რომლებიც მონაწილეობით ბიუჯეტირებას იყენებდნენ, ეს განსხვავება კარგად ჩანს მათი მონაცემების შედარებით იმ მუნიციპალიტეტების მონაცემებთან, რომლებიც არ იყენებდნენ მონაწილეობით ბიუჯეტირებას. მსოფლიო ბანკის (2008 წ.) ბრაზილიის ქალაქ პორტო ალეგრეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების შეფასება ადასტურებს იმას, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამოყენებას შეუძლია შეამაციროს სიღარიბე და გაზარდოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი რესურსების ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, მონაწილეობითი ბიუჯეტირება **ორიენტირებულია** ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებისკენ, რათა მათ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, მაგრამ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საჭირობოროტო საკითხების თაობაზე გადაწყეტილებების მიღებაში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების **მიზნებს** თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია, მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს. შესაბამისად, მონაწილეობით ბიუჯეტირებაში მოიაზრება ისეთი ამოცანები, როგორებიც არის: საზოგადოების მონაწილეობის ზრდა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში; საზოგადოებრივი ცოდნის გაუმჯობესება საჯარო სერვისების რესურსების განაწილების საკითხებზე; ხარჯების გაწევის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც უფრო სამართლიანი იქნება და უკეთესად ასახავს საზოგადოების საჭიროებებს.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების **ამოცანაა** მოქალაქეებმა საკუთარი პასუხისმგებლობით, თავიანთი შესაძლებლობების გაძლიერებითა და საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობით უზრუნველყონ მათ მიერ მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილის განკარგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულებას იღებენ, ბიუჯეტში გაითვალისწინონ და განახორციელონ მოქალაქეების მიერ წარდგენილი და შესაბამისად შერჩეული პროექტები.

მაგრამ, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების დროს გარდა მონაწილეობის შესაბამისი მექანიზმების შექმნისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროცესის **მონიტორინგი და შეფასება.** მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

მოცემულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სწორედ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტურად განხორციელების გზები და სახელმძღვანელო მეთოდები.

მონიტორინგისა და შეფასების უმთავრესი მიზნებია წარმოაჩინოს:

- არის თუ არა განხორციელებული მონაწილეობითი ბიუჯეტირებით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები;
- ხორციელდება თუ არა მონაწილეობითი ბიუჯეტირება ეფექტიანად და სრულფასოვნად;
- მართვის პროცესში რა სახის ნაკლოვანებები, პრობლემები და გამოწვევები ჩნდება.

აღნიშნულის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს პროცესის დროული დაკორექტირება, გაუმჯობესება და ასევე გამოვლენილი მიგნებებისა და საჭიროებების მომდევნო საბიუჯეტო წლისთვის გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი კომპლექსურია და შესაბამის რესურსებს მოითხოვს. აღნიშნულის გათვალისწინება კი უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო წლის/წლების (როდესაც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება) საბიუჯეტო ასიგნებებში.

მონიტორინგი და შეფასება შეიძლება განახორციელოს როგორც გარე, ისე შიდა მხარემ. პოტენციური მხარისთვის კი შემდეგი სარგებელი და ნაკლოვანებებია მოსალოდნელი:

ცხრილი #1 მხარეების შესაბამისი სარგებლისა და ნაკლოვანების ცხრილი

მხარე	სარგებელი	ნაკლოვანება
გარე მხარე: პირი ან გუნდი, რომელიც არ არის დაკავშირებული უწყების დაფინანსებასთან და მონაწილეობის პროცესის ხელმძღვანელობასთან, მაგალითად, საინიციატივო ჯგუფი, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები, არასამთავრობო, კვლევითი, სამოქალაქო, მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები, კვლევითი უწყების წარმომადგენლები, გასულ საბიუჯეტო წელს გამარჯვებული პროექტების ავტორე-ბი და სხვ.	მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის დიდი პოტენციალი; სავარაუდოა, რომ აქვს პროგრამის შეფასებისა და სტატისტიკური ანალიზის ძლიერი უნარები.	შედარებით ძვირი; შესაძლოა ჰქონდეს მაღალი მოთხოვნები საერთო შეფასების დიზაინის თვალსაზრისით; შეიძლება სასურველზე მეტი დრო დასჭირდეს.
შიდა მხარე (პროგრამის გარეთ): პირი ან გუნდი უწყების შიგნით, რომელიც არ არის ჩართული მონაწილეობით ბიუჯეტირებაში. მაგალითად პოლიტიკის სამსახურის წარმომადგენლები, შიდა აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები, საკრებულოს წარმომადგენლები.	ისარგებლებს შიდა უწყებრივი შეფასების შესაძლებლობებით; სავარაუდოდ მიუკერძოებელი და ობიექტური; პოტენციურად ნაკლებად ძვირი.	შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც მიკერძოებული; შეიძლება არ გააჩნდეს კვლევისა და შეფასების საკმარისი უნარი.

შიდა მხარე (პროგრამის შიგნით): პირი ან გუნდი უწყების შიგნით, რომელიც პირდაპირ ჩართულია მონაწილეობით ბიუჯეტირებაში. მაგალითად, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები;	ისარგებლებს შიდა უწყებრივი შეფასების შესაძლებლობებით; ექნება პროცესის გაგება და ცოდნა; ნაკლებად ძვირი.	მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პოტენციური ნაკლებობა (ან აღქმული ნაკლებობა); შეიძლება აკლდეს ზოგიერთი კვლევისა და შეფასების უნარი.
შიდა და გარე მხარეთა გუნდი: გუნდი შედგება გარე და შიდა მხარეებისგან.	ამცირებს ან გამორიცხავს სხვა ვარიანტების ნაკლოვანებებს.	პოტენციურად ყველაზე ძვირი და შრომატევადი.

შესაბამისად, **სახელმძღვანელოს მიზანია** სწორედ მონიტორინგსა და შეფასებაზე შეაჩეროს ყურადღება და როგორც განხორციელების, ისე მონიტორინგის ეტაპზე ხელი შეუწყოს შესაბამისი მექანიზმების დანერგვას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეხმარება გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში უზრუნველყონ მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალი ხარისხი.

I. მონიტორინგი

მონიტორინგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მუდმივად შეგროვებას და მის ანალიზს, რათა „თვალყური მიადევნო“ და სულ აკონტროლო, თუ „რა ხდება“. შესაბამისად, **მონიტორინგის მიზანია** პროექტით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება.

მონიტორინგის მიზანია რეგულარულად შეაგროვოს ინფორმაცია:

- პროექტით/პროექტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე;
- პროექტის/პროექტების განხორციელებისათვის განსაზღვრული აქტივობების მიმდინარეობის თაობაზე;
- იმ პრობლემების და გამოწვევების შესახებ, რომელებიც აღმოჩნდება პროექტის/პროექტების განხორციელების პროცესში.

მონიტორინგი, ერთის მხრივ, **უზრუნველყოფს** საქმიანობის ანგარიშვალდებულების გაზრდას, ხოლო, მეორეს მხრივ, პასუხისმგებელი მხარეების მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესრულებისა და ეფექტურობის[3] მაჩვენებლების დადგენას.

მონიტორინგი გულისხმობს პროექტის/პროექტების განხორციელების პროცესისა და შესაბამისი დადგენილი რეგულაციების შესრულების კონტროლს, შესაბამისი დასკვნებისა და მიგნებების ჩამოყალიბებას და რეკომენდაციების შემუშავებას როგორც მუნიციპალური ორგანოს შესაბამისი ბრძანებით, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესაბამისად.

მონიტორინგის მიზნით პასუხისმგებელი მხარეები აგროვებენ და ახარისხებენ მათ მიერ შესრულებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციებსა და მტკიცებულებებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგიც, გარკვეულწილად განხორციელების პროცესის შემადგენელი ნაწილი გახლავთ.

მონიტორინგი, როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება განხორციელდეს როგორც გარე ისე შიდა მხარის მიერ.

მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში და, შესაბამისად, მონიტორინგის პროცესში სასურველია უზრუნველყოფილი იყოს როგორც მიმდინარე, ისე გასულ წლებში გამარჯვებული პროექტის/პროექტების ავტორის/ავტორების ჩართვა. კერძოდ, მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამარჯვებული პროექტის მონიტორინგის პროცესში შესაძლებელია შესაბამისი გამარჯვებული პროექტის ავტორის/ავტორების ჩართვა, ხოლო ყველა სხვა მონიტორინგში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ გასული წლების გამარჯვებული პროექტის/პროექტების ავტორებმა.

[3] ეფექტურობა-მიღწეულია თუ არა მიზნები და ამოცანები (და არა აქტივობები) ან რამდენად მოსალოდნელია ეს მათი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა და ის, თუ რომელ მოდელს ირჩევენ, სასურველია განისაზღვროს პროცესის საწყის ეტაპზევე. მონიტორინგის პროცესის მართვის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია აისახოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მარეგულირებელ ადგილობრივ აქტებში. როგორც წესი, გადაწყვეტილების მისაღებად პროგრამაში ჩართული მხარეები შეარჩევენ წევრებს იმ ჯგუფში სამუშაოდ, რომელიც შეიმუშავებს მონიტორინგის გეგმას.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის საქმიანობაში, მათ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს დამოუკიდებლად მიმართონ პროექტის/პროექტების განხორციელებაში მონაწილე მხარეებს (შემსყიდველი, მიმწოდებელი) და გამოითხოვონ ინფორმაცია და დოკუმენტები პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ მერიის შესაბამისი სამსახურები არ თანამშრომლობენ ჯგუფთან, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მერს.

მონიტორინგისას ჯგუფი ხელმძღვანელობს პროგრამის შესაბამისი ეტაპების განხორციელების ვადების თაობაზე მომზადებული დოკუმენტით და პროგრამის განხორციელების სამოქმედო კალენდრით.

მნიშვნელოვანია, საწყის ეტაპზევე მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის შიგნით პასუხისმგებლობებისა და ამოცანების დეტალური გაწერა.

მონიტორინგის პროცესის შედეგად მუშავდება შესაბამისი **ანგარიში.**

მონიტორინგის ანგარიშების შესამუშავებლად ჯგუფი ატარებს კონსულტაციებს ინფორმაციის გამოთხოვის, შეგროვების, დამუშავების, პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებასა და წარმართვაზე პასუხისმგებელ პირთან და დაინტერესებულ და მონაწილე ჯგუფებთან/ფოკუს-ჯგუფებთან, ანდა ატარებს შეხვედრებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის გაუმჯობესების საკითხებზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებთან.

მონიტორინგის ანგარიში უნდა წარედგინოს საკრებულოს, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დოკუმენტი ასევე გამოქვეყნება საჯაროდ.

მონაწილეობითი ბიუჯეტის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ორ დონეზე:

- მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის/ეტაპების მონიტორინგი;
- მხოლოდ გამარჯვებული პროექტის/პროექტების განხორციელების მონიტორინგი.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეტაპების მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შესაბამისი ეტაპის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების მონიტორინგი რათა არ დაირღვეს მონიტორინგის ვადები და პროცედურები. მონიტორინგის პროცესი იწყება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელების პარალელურად.

მონიტორინგის აღნიშნული ფორმა მოიცავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შემდეგ ეტაპებს:

- მომზადება;
- საპროექტო განაცხადების შემუშავება და წარდგენა;
- საპროექტო განაცხადების ვერიფიკაცია;
- პროექტების შეფასება;
- პროექტების მომზადება კენჭისყრისთვის/ხმის მიცემისთვის;
- პროექტების კენჭისყრის/ხმის მიცემის პროცედურა;
- გამარჯვებული პროექტების ასახვა მუნიციპალიტეტის დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტში;
- პროცესის საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული პროექტების განხორციელება;
- ანგარიშგება/მონიტორინგი და შეფასება.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ცალკეული ეტაპები შესაძლოა გაერთიანდეს მათში შემავალი ღონისძიებების გაერთიანების საფუძველზე.

მომზადება - მონიტორინგი უნდა გაეწიოს დადგენილ ვადებში პროცესის ინიცირებას, ასევე შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვას. აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- რამდენად აქტიური სახე აქვს საინფორმაციო კამპანიის ფორმას;
- რამდენად ხდება მოქალაქეთა წახალისება პროგრამაში ჩართვის მიზნით, დაინტერესებული პირებისათვის სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების და შესაბამისი პროგრამის არსის, მიზნის, ამოცანის გაცნობა, პროექტების შეფასების ეტაპებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- რამდენად გამოიყენება ყველა შესაძლო საინფორმაციო არხი, იქნება ეს ოფიციალური ვებ-გვერდი, მონაწილეობითი ბიუჯეტის ონლაინ პლატფორმა, სოციალური მედია, მედიის სხვა საშუალებები თუ რაიმე სხვა.
- სრულად მოიცავს, თუ არა მიწოდებული ინფორმაცია მონაცემებს პროგრამის ფარგლებში წარსადგენი განაცხადების წარდგენის პროცედურებისა და ვადების, მისი კომპონენტების (მაგ. პროექტის სახელწოდება, პროექტის განხორციელების ადგილი, პროექტის კლასიფიკაცია, პროექტის განმცხადებლის მონაცემები, პრობლემის აღწერა, პროექტის აღწერა, პროექტის მიზნები, პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი, პროექტის სავარაუდო ღირებულე-

ბა), ასევე იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოხდება გამარჯვებული პროექტების გამოვლენა;
- არის თუ არა შესაბამისი მარეგულირებელი აქტი წინასწარ დამტკიცებული;
- როგორია პროცედურების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დონე;
- არსებობს თუ არა მონაწილეობითი ბიუჯეტირებისათვის ყოველწლიური ბიუჯეტის განსაზღვრის წესი;
- არის თუ არა მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფორმა წინასწარ განსაზღვრული;
- სამართლებრივი აქტით წინასწარ არის თუ არა განსაზღვრული პროექტის განხორციელების ტერიტორია;
- არის თუ არა სამართლებრივი აქტით წინასწარ განსაზღვრული სფეროები/დარგები;
- რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული პროცესის ეტაპები და ვადები;
- რა ხარისხით არის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი ინტეგრირებული მუნიციპალურ დონეზე საბიუჯეტო პროცესთან;
- არის თუ არა მკაფიოდ დადგენილი მხარეების უფლება-მოვალეობები;
- არის თუ არა გათვალისწინებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს/ჯგუფის შექმნა;
- არსებობს თუ არა იდეების შერჩევის/გადარჩევის მეთოდოლოგია და არის თუ არა ცხადი და მკაფიო პროექტების შერჩევის კრიტერიუმები;
- არის თუ არა ასახული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროექტის მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- არის თუ არა შემუშავებული საინფორმაციო კამპანიის სამოქმედო გეგმა;
- არის თუ არა შემუშავებული მონიტორინგის გეგმა;
- არის თუ არა შექნილი მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო და სამუშაო ჯგუფი;
- არის თუ არა განსაზღვრული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

საპროექტო განაცხადების შემუშავება და წარდგენა - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:
- იყო თუ არა შესაძლებელი საპროექტო განაცხადის შეტანა როგორც ცალკეულ მოქალაქეს (რომლის ასაკი განსაზღვრულია), ასევე მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ;
- იდეების წარდგენა მოხდა თუ არა წინასწარ დადგენილ ვადაში და დადგენილი ფორმატით;
- იყო თუ არა შესაძლებელი იდეების წარდგენა როგორც ელექტრონული, ასე წერილობითი სახით;
- იყო თუ არა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი და მარტივად გასაგები განაცხადი;
- გონივრული იყო თუ არა ვადა პროექტების წარსადგენად.

საპროექტო განაცხადების ვერიფიკაცია - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:
- დადგენილ ვადებში მოხდა თუ არა წარდგენილი საპროექტო განაცხადების ვერიფიკაცია და შეფასება შესაბამისი ინსტრუქციის შესაბამისად;

- შეესაბამამებოდა თუ არა ის სავალდებულო კრიტერიუმები, რომლებსაც ვერიფიკაციისას პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ვერიფიკაციის მიზნებს, ვინაიდან ცნობილია, რომ ვერიფიკაცია უნდა მოიცავდეს არა თავად პროექტის შეფასებას (ქულებით ან სხვაგვარად), არამედ, უნდა გულისხმობდეს სავალდებულო კრიტერიუმების მიხედვით პროექტების პირველად ფილტრაციას და მის რეალიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების გამოვლენას, რომლებიც განსაზღვრავს თუ რამდენად რეალიზებადია პროექტი;
- განხორციელდა თუ არა ვერიფიკაციის პროცესი შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

პროექტების შეფასება - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- დადგენილ ვადებში მოხდა თუ არა იმ პროექტების შეფასება, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა რაოდენობრივ კრიტერიუმს;
- შეფასებისთვის შერჩეული კრიტერიუმები და მათთვის მინიჭებული შესაბამისი კოეფიციენტები იყო თუ არა მკაფიო და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მნიშვნელოვანი (მაგალითად, გათვალისწინებულია თუ არა ინდიკატორად გენდერული ფაქტორი, შშმ პირების ინკლუზიის ფაქტორი, ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის ფაქტორი);
- რამდენად სწორად მოხდა განსაზღვრული რაოდენობის საუკეთესო პროექტების გამოვლენა.

პროექტების მომზადება კენჭისყრისთვის/ხმის მიცემისთვის - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- დადგენილ ვადებში დაიწყო თუ არა შესაბამისი საინფორმაციო კამპანია;
- ჰქონდა თუ არა მოსახლეობას შესაძლებლობა და საკმარისი დრო პროექტების გასაცნობად;
- საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ხმის მიცემის ეტაპზე განაცხადის გადასვლის მომენტიდან იდეის ავტორს მიეცა თუ არა შესაძლებლობა დაეწყო აქტიური საინფორმაციო კამპანია მხარდამჭერების მოზიდვის მიზნით;
- იყო თუ არა უზრუნველყოფილი კენჭისყრაში მონაწილე პროექტების პრეზენტაციების გამართვა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ იდეის ავტორები;
- მოსახლეობის ინფორმირების მიზნით წინასწარ მომზადდა და გამოქვეყნდა თუ არა პრესრელიზები მედიაში, მერიის საიტის შესაბამის პლატფორმასა და სოციალურ ქსელში გასავრცელებლად.

პროექტების კენჭისყრის/ხმის მიცემის პროცედურა - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით მოხდა თუ არა კენჭისყრის ჩატარება;
- გამარჯვებულად იმ რაოდენობის პროექტები გამოვლინდა, რაც წინასწარ იყო განსაზღვრული (მაგალითად სამი) თუ - არა;

- იყო თუ არა შესაძლებელი ხმის მიცემასა ანდა კენჭისყრაში მონაწილეობა მიეღო ყველა პოტენციურ პირს (მაგალითად მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველს 18 წლის ასაკიდან);
- იყო თუ არა დაცული კანონის მოთხოვნა, რომ ხმის მიცემის/კენჭისყრაში მონაწილე მოქალაქეს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთხელ და სასურველია მაქსიმუმ იმ რაოდენობის საპროექტო განაცხადს, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული. (მაგალითად სამი);
- იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე პროექტმა მიიღო ხმების ერთნაირი რაოდენობა, როგორ მოხდა გამარჯვებული პროექტის გამოვლენა, რას და კრიტერიუმებით მიენიჭა უპირატესობა.

საჯაროობა და გამჭვირვალობა - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- რამდენად საჯაროდ და გამჭვირვალედ წარიმართა თავად პროცესი;
- მიეწოდებოდა თუ არა დაინტერესებულ პირებს პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პირადი და კომერციული საიდუმლოების გარდა);
- უზრუნველყო თუ არა მუნიციპალიტეტმა მოქალაქეების, ადგილობრივი მედიისა და არასამთავრობო სექტორის აქტიური მონაწილეობა პროცესში;
- რამდენად აქტიურად ხდებოდა მუნიციპალიტეტის ვებგვერდით, ონლაინ პლატფორმით, სოციალური მედიით, ადგილობრივი მედიით პროგრამის ცალკეული ეტაპებისა და შერჩეული პროექტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.

გამარჯვებული პროექტების მუნიციპალიტეტის დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტში ასახვა - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- დროულად მოხდა თუ არა გამარჯვებული პროექტების წარდგენა შესაბამისი სამსახურისათვის;
- დროულად და საბიუჯეტო კალენდრის ვადებში მოხდა თუ არა საფინანსო ორგანოს მიერ შესაბამისი დარგობრივი სამსახურისთვის/სამსახურებისთვის (გამარჯვებული პროექტის ინიციატორთან/ინიციატორებთან კოორდინაციით) გამარჯვებული პროექტების ბიუჯეტების წარდგენა, რათა ისინი ასახულიყო დასაგეგმი წლის ბიუჯეტსა და მის პროგრამულ/კაპიტალურ დანართში;
- შესყიდვების შესაბამისმა სამსახურმა გამარჯვებული პროექტები განსაზღვრულ ვადებში ასახა თუ არა სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში;
- არის თუ არა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამა - "მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" შესაბამისი პროგრამული კოდით და მის განსახორციელებლად გამოსაყოფი ასიგნებების ოდენობა;
- მეთოდოლოგიურად სწორად განისაზღვრა თუ არა გამარჯვებული პროექტების ქვეპროგრამები შესაბამისი პროგრამული კოდით, ასიგნებებით, შედეგებით და შედეგების შეფასების ინდიკატორებით;

პროექტების განხორციელება - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- დროულად მოხდა თუ არა სახელმწიფო შესყიდვებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, შესყიდვის გამოცხადება, მომწოდებლის გამოვლენა, პროექტის ფარგლებში შესაბამისი სამუშაოების განხორციელება და დასრულებული სამუშაოს მიღება. სასურველია სახელმწიფო შესყიდვების სამსახურმა გამარჯვებული პროექტების გამოვლენისთანავე დაიწყოს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო შესაბამისი დასაგეგმი საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში გამოაცხადოს ტენდერი (სახელმწიფო შესყიდვა) პროგრამით გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელი პირის/პირების გამოვლენის მიზნით;
- მონაწილეობდა თუ არა გამარჯვებული პროექტის ავტორი პროექტის განხორციელების მომზადებისა და სატენდერო წინადადების შემუშავების, პროექტის განხორციელებისა და მისი მიღება-ჩაბარების საქმიანობაში ყველა ეტაპზე;
- მოხდა თუ არა მოსახლეობის ინფორმირება განხორციელებული პროექტების შესახებ.

ანგარიშგება - მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- ხდება თუ არა პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების შესრულების შესახებ ინფორმაციის (დაგეგმილი და ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები) საბიუჯეტო კალენდრით დადგენილ ვადებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ, 3 თვის, 9 თვის, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში ასახვა.
- ხდება თუ არა პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების შესრულების შესახებ ინფორმაციის (დაგეგმილი და ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები, პროექტის განმახორციელებელი, პროექტის მიზანი, შედეგი, შედეგების შესრულების საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილება, რისკები) საბიუჯეტო კალენდრით დადგენილ ვადებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის კვარტალურ ანგარიშში და ასევე წლიურ ანგარიშსა და მის პროგრამულ/კაპიტალურ დანართებში ასახვა;
- ხდება თუ არა საკრებულოში ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა.

მონიტორინგის ანგარიში და მისი პერიოდულობა

მონიტორინგის პროცესის შედეგად ყოველ ეტაპზე მუშავდება შესაბამისი ანგარიში (სტატუს ანგარიში). რაც შეეხება გამარჯვებული პროექტის/პროექტების განხორციელების მონიტორინგის ანგარიშს, ვინაიდან პროექტის/პროექტების განხორციელება ხანგრძლივი პროცესია და მრავალ ცალკეულ საქმანობას მოიცავს, სასურველია თითოეულ გამარჯვებულ პროექტზე ანგარიში მომზადდეს ყოველთვიურად პროექტის საბოლოო დასრულებამდე. გამარჯვებული პროექტის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის დანიშნულებაა დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია მიღწეული პროგრესის შესახებ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მისცეს წარმოდგენა მხარეების ეფექტურად მუშაობის, ძირითადი პრობლემებისა და შესაძლო ჩარევების შესახებ.

ანგარიში არ არის ანალიტიკური დოკუმენტი. ის მოიცავს ფაქტობრივ ინფორმაციას საქმიანობებისა და მათი განხორციელების ხარისხის შესახებ.

მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უზრუნველყოფს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განხორციელების დროულ და დინამიკურ განახლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მისი საბოლოო მიზნების მიღწევას, პროცესის ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად განხორციელებას.

ანგარიში, სასურველია, მოიცავდეს ინფორმაციას პროექტის აქტივობებისა და განხორციელების დონის შესახებ. თუმცა, ყურადღება ძირითადად პროექტის მიზნებისა და შედეგების მიღწევის საკითხებზე უნდა გამახვილდეს .

ანგარიში მუნიციპალიტეტის მერს რეკომენდაციებთან ერთად წარედგინება. რაც შეეხება ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ, ის მერისა გარდა, წარედგინება პროექტების განხორციელებაში მონაწილე მერიის შესაბამის სამსახურებს, მერიის შიდა აუდიტის სამსახურს, მიმწოდებელს. ანგარიში მიეწოდება პროექტის/პროექტების იდეის ავტორებსაც, ის ასევე თან ერთვის საკრებულოსათვის წარსადგენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს.

ყველა სხვა შემთხვევაში, თუ ანგარიში (რომლის წარდგენა საკრებულოსთვის სავალდებულო არ არის) მოიცავს საყურადღებო საკითხებს, მონიტორინგის ჯგუფის გადაწყვეტილებით აღნიშნული ანგარიში ასევე წარედგინება საკრებულოს განსახილველად.

საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მონაწილეობითი ბიუჯეტის ონლაინ პლატფორმასა და შესაბამის სოციალურ მედიაში.

პროექტების განხორციელების შესახებ ანგარიში ასევე თან უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკრებულოსათვის წარსადგენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს.

მონიტორინგის ანგარიშების სტრუქტურა

ანგარიშების შედგენისას მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ქვემოთ შემოთავაზებული სტრუქტურა.

ცხრილი #2 მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეტაპების მონიტორინგის ანგარიშის (სტატუს ანგარიში) სტრუქტურა

#	ეტაპი	ეტაპის შესაბამისი აქტივობა/ აქტივობები	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	აქტივობის აღწერა	აქტივობის სტატუსი	აქტივობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია	ეტაპის სტატუსი
	1	2	3	4	5	6	7	8
1	ეტაპის დასახელება, რომლის საჭიროებებისთვისაც ხორციელდება ანგარიშგება.							
2	1-ელ გრაფაში მითითებული ეტაპის შესაბამისი აქტივობ[ებ]ის დასახელება.							
3	1-ელ გრაფაში მითითებული ეტაპის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.							
4	1-ელ გრაფაში მითითებული ეტაპის განხორციელების ვადა.							
5	მე-2 გრაფაში მითითებული აქტივობ[ებ]ის განხორციელების მდგომარეობის აღწერა.							
6	მე-2 გრაფაში მითითებული აქტივობ[ებ]ის განხორციელების სტატუსი							
7	მე-2 გრაფაში მითითებული აქტივობ[ებ]ის განხორციელების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა							

#	სტატუსი	სტატუსის მაჩვენებელი
1	არ განხორციელებულა	0%
2	ნაწილობრივ განხორციელდა	1%-50%
3	მეტწილად განხორციელდა	51%-99%
4	განხორციელდა	100%
5	განხორციელდა დაგვიანებით	100%
6	გაუქმებულია	0%-99%
7	შეჩერებულია	0%-99%

8	მე-2 გრაფაში მითითებული აქტივობ[ებ]ის განხორციელების სტატუს[ებ]ის შესაბამისად პირველ (I) გრაფაში მითითებული ეტაპის შეფასება და მისთვის შესაბამისი ფერის მინიჭება.

სტატუსი	(ფერი)
ეტაპის შესაბამისი ყველა აქტივობ[ებ]ის სტატუსები არის 100%	
ეტაპის შესაბამისი აქტივობ[ებ]ის სტატუსები უმრავლესობა არის 51%-99%	
ეტაპის შესაბამისი აქტივობ[ებ]ის სტატუსები უმრავლესობა არის 1%-50%	
ეტაპის შესაბამისი აქტივობ[ებ]ის სტატუსები უმრავლესობა არის 0%-99%	
ეტაპის შესაბამისი აქტივობ[ებ]ის სტატუსები უმრავლესობა არის 0%	

ცხრილი #3

გამარჯვებული პროექტის/პროექტების განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის სტრუქტურა

#	თავის დასახელება	რისგან უნდა შედგებოდეს თავი
1	**მოკლე მიმოხილვა**	მთლიანი ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემჭიდროვებულ ფორმატში და მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია: • შესავალი; • პროგრესი (მათ შორის განხორციელების დონე) • გამოწვევები; • რეკომენდაციები. მიღწევების თვალსაჩინოებისათვის შეიძლება სქემების, ცხრილებისა და სურათების გამოყენება.
2	**შესავალი**	• ინფორმაცია კონკრეტული პროექტის შესახებ;
3	**პროგრესი**	• ინფორმაცია დადგენილი ვადებისა და რეგულაციების შესახებ; • საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების რაოდენობა; • ზოგადი **განხორციელების დონე სტატუსებისა და პროცენტული მაჩვენებლების შესაბამისად**[4]; • განხორციელების დონე ამოცანების მასშტაბის გათვალისწინებით;

[4] იხილეთ შესაბამისი ცხრილი

		• საუკეთესო და ყველაზე საგანგაშო სფეროები ამოცანების შესაბამისად.
4	**გამოწვევები, დასკვნები და მიგნებები**	• ,განხორციელების ხელისშემშლელი ძირითადი პრობლემები; • რისკები, რაც შეიძლება ამ პრობლემებმა გამოიწვიოს.
	რეკომენდაციები	• რეკომენდაციები, რაც აღნიშნულ პრობლემებსა და რისკებს დაა-ბალანსებდა; • რეკომენდაციების ფარგლებში შესასრულებელი მოთხოვნები/ ღონისძიებები შესაბამისი ვადების მითითებით.
5	**დანართი**	• პასუხისმგებელი სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორ-მაცია; • ჯგუფის წევრების მიერ საჭიროების შემთხვევაში გამოთხოვილი ინფორმაცია; • ფოტო ვიზუალური მასალა;

ცხრილი #4 გამარჯვებული პროექტის/პროექტების განხორციელების მონიტორინგის ანგარიშში პროგრესის შესაბამისი სტატუსის განსაზღვრის ცხრილი

#	სტატუსი	პროგრესის შესაბამისად
1	არ დაწყებულა	0%
2	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	1%-50%
3	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	51%-99%
4	განხორციელდა	100%
5	განხორციელდა დაგვიანებით	100%
6	გაუქმებულია	0%-99%
7	შეჩერებულია	0%-99%

ანგარიშების მომზადების პრინციპები

ანგარიშები უნდა პასუხობდეს პრინციპებს, რომლებიც ადგენენ როგორც შინაარსობრივ, ისე ტექნიკურ სტანდარტებს. კერძოდ:

ცხრილი #5 მონიტორინგის ანგარიშის მომზადების პრინციპები

პრინციპი	განმარტება
დროული	ანგარიშები დადგენილ ვადებში უნდა დაიწეროს და წარედგინოს შესაბამის მხარეებს, შესაბამისი საშუალებების გამოყენებით გამოქვეყნდეს და გახდეს საჯარო.
ფოკუსირებული	ანგარიშებში წარმოდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
შესაბამისი	ანგარიშგება უნდა შედგეს მხოლოდ რელევანტურ და მნიშვნელოვან გადადგმულ ნაბიჯებზე. ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაცია აქტივობების შესახებ ამძიმებს ანგარიშის დოკუმენტს და არ სძენს მას დამატებით ღირებულებას.
მკითხველზე ორიენტირებული	ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მომხმარებლისთვის გასაგები და ადვილად აღქმადი საშუალებებით (გრაფიკები და ცხრილები, სადაც შესაძლებელია მონაცემებისა და პროგრესის უკეთ წარმოჩენა).

მონიტორინგის პროცესის მაღალი სტანდარტებით ჩატარება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მონიტორინგი, პროექტში/პროექტებში მონაწილე მხარეებს ეხმარება პროექტების განხორციელების პროცესის მიმდინარეობის შეფასებაში, დამაბრკოლებელი ფაქტორებისა და რისკების გამოვლენაში, შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე დასახული მიზნის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უზრუნველყოფს პროექტის/პროექტების განხორციელების დროულ და დინამიკურ განახლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროექტის/პროექტების საბოლოო მიზნების მიღწევას, პროექტის/პროექტების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად განხორციელებას.

II. შეფასება

მონაწილეობითი ბიუჯეტის გრძელვადიანი ზეგავლენისა და მდგრადობის დასადგენად აუცილებელია მისი შეფასება.

როგორც წესი, შეფასება უნდა ჩატარდეს 2 წელიწადში ერთხელ, როდესაც მონაწილეობითი ბიუჯეტირების სრული ციკლი დასრულებული იქნება.

როგორც ცნობილია, პროგრამის შეფასება ეს არის შეგროვების, ანალიზისა და ინფორმაციის გამოყენების პროცესი იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს პროგრამა, რა შედეგები მოიტანა და რა გავლენას ახდენს ის ადრესატებზე, ორგანიზაციებსა და საზოგადოებაზე.

შეფასება გვეხმარება, იმის დადგენაში თუ რამდენად არის შედეგზე ორიენტირებული გაწერილი ღონისძიებები და რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მიღწევისთვის. ეს მიდგომა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროგრამის დროულ და დინამიკურ განახლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროცესის საბოლოო მიზნების მიღწევას და განხორციელების ხარჯების ეფექტიანობის ზრდას. **შეფასების მიზანია** გაანალიზდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის მთლიანი ციკლი, შეფასდეს მიღწეული შედეგები - გამოვლინდეს პროგრესი, წარმატებული პრაქტიკა და ასევე მართვის პროცესში არსებული გამოწვევები და შემუშავდეს გაუმჯობესების რეკომენდაციები.

შეფასება ხელს უწყობს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის გაუმჯობესებას იმით, რომ შესაძლებელი ხდება რეკომენდაციების გაცემა კონკრეტული პროგრამის, რეგულაციის ან აქტივობის შესახებ.

პროცესის დასრულების შემდეგ პროგრამის **შეფასება ეხმარება** მუნიციპალიტეტებს უკეთ განსაზღვრონ, თუ როგორ ხდებოდა მისი მართვა, ასევე რა ზემოქმედება მოახდინა მან მუნიციპალიტეტსა და მოქალაქეებზე და, საბოლოოდ, რა სარგებელი მოუტანა მათ.

შეფასებისას დგინდება:

- როგორ განხორციელდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქმიანობის მართვა (დაგეგმვა);
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების წამყვანი პროცესების განხორციელება (პროცესი);
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქმიანობის შედეგები (გავლენა).

შეფასების რეკომენდირებული სასტარტო წერტილი არის იმის განსაზღვრა, თუ რის მიღწევას ცდილობს მონაწილეობითი ბიუჯეტირების საქმიანობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ:

- რისი მიღწევა გვსურს? (მიზანი);
- რამდენად ეფექტიანია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩვენი საქმიანობის მართვა? (დაგეგმვა);

- რამდენად ეფექტიანია წამყვანი პროცესების განხორციელება? (პროცესი);
- რა წამყვან შედეგებს მივაღწიეთ? (გავლენა).

მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასების სარგებელი

როგორც უკვე აღინიშნა, შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან ის გამოიყენება პროგრამების, პროცესების, პოლიტიკისა და შესრულების ხარისხისა და ღირებულების განსასაზღვრად. მოქალაქეთა მონაწილეობის შეფასებას აქვს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სარგებელი, რაც მოიცავს შემდეგს:

ანგარიშვალდებულება - შეფასება ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების სტრუქტურების გაუმჯობესებასა და გადამოწმებას. არჩეულ პირებს, საჯარო მოხელეებს, დაინტერესებულ მხარეებს, სამოქალაქო ლიდერებსა და მოქალაქეებს სურთ იცოდნენ, არის თუ არა ეფექტური ის პროგრამები, რომლებსაც ისინი აფინანსებენ, განახორციელებენ, კენჭს უყრიან, ეწინააღმდეგებიან ან იღებენ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ შეფასების საშუალებით.

მართვა - შეფასება იძლევა სასარგებლო და პრაქტიკულ ინფორმაციას პროგრამის შესახებ იმ კუთხით, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს პროგრამის მართვის გუნდს წარმატებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საშუალებით გააუმჯობესონ მისი განხორციელება და მართვა. მაგალითად, შეფასებას შეუძლია შემოგვთავაზოს პროგრამის ახლებური მიდგომა, გაზარდოს პროგრამის ზეგავლენის ცოდნა და ცნობიერება, გამოკვეთოს პროგრამის გაუმჯობესების არეალები, დროის შუალედში თვალი მიადევნოს ზეგავლენას და განსაზღვროს, სჭირდება თუ არა პროგრამას შეცვლა, გაფართოება, გაგრძელება ან გაუქმება.

ფინანსები და რესურსები - შეფასებას შეუძლია უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელთა ფულისა და რესურსების რაციონალური გამოყენება. საფინანსო რესურსების სიმწირის ეპოქაში, შეფასება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო მონაწილეობის პროგრამების ხარჯებისა და სარგებლის განსაზღვრისათვის, რათა დადგინდეს, გრძელვადიან პერსპექტივაში ზოგავს თუ არა მონაწილეობა დროსა და ფულს. აღნიშნულის მიზანია ასევე გაირკვეს, თუ როგორ იქნება უკეთესი გამოიყოს ფინანსური, ადამიანური, ტექნოლოგიური თუ სხვა რესურსები სასურველი მიზნების მისაღწევად. ამ ტიპის ინფორმაცია ძალიან სასარგებლო იქნება პროგრამების საჭიროების დასაბუთებისათვის.

კანონიერება - შეფასებას შეუძლია დაეხმაროს პროგრამის მართვის გუნდს განსაზღვრონ, თუ რამდენად შეესაბამება მათი მონაწილეობის პროგრამები კანონებს, წესებსა და მანდატებს. რადგანაც ბევრი მოქალაქის მონაწილეობა კანონით არის დადგენილი, მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ გამოიყენება ასეთი პროგრამები უფრო ფართო საზოგადოებრივი ან სამართლებრივი მიზნების მისაღწევად და რამდენად კარგად ემსახურებიან ისინი ზოგადად მთავრობის საჭიროებებს, ისევე, როგორც ცალკეული უწყებებისა და საზოგადოების საჭიროებებს.

ეთიკა - შეფასებას შეუძლია შესაბამის პირებს დაეხმაროს განსაზღვრაში, რომ მონაწილეობის პროგრამებს ჰქონდეთ სამართლიანი და შესაბამისი წარმომადგენლობითობა და რომ მონაწილეებს ესმოდეთ თავიანთი წვლილის მნიშვნელობა. ეს მონაწილეობის პროგრამებს მეტ შესაძლებლობას ანიჭებს გააძლიერონ ისეთი დემოკრატიული ღირებულებები, როგორიცაა: გამჭვირვალობა, ანგარიშ-ვალდებულება, ლეგიტიმურობა თუ სხვა.

კუთვნილება - როდესაც ის სწორად კეთდება, შეფასებას შეუძლია წვლილი შეიტანოს პრობლემების, პროცესებისა და შედეგების კონტროლში (როგორც უწყებაში, ისე მის გარეთ). შეფასება უწყების შიგნით მიანიშნებს, რომ პროგრამა მხარდაჭერილია და მიიჩნევა მნიშვნელოვნად. უწყების გარე შეფასება კი აჩვენებს მოკავშირეებს, დაინტერესებულ მხარეებსა და მოქალაქეებს, რომ უწყება დაინტერესებულია მონაწილეობის პროცესების გაუმჯობესებით. აღნიშნულმა შესაძლებელია გარე ჯგუფებში გამოიწვიოს ინტერესი შეფასების პროცესში ჩასართავად და გაძლიერდეს მათი როლი იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლისთვისაც გამოიყენება მონაწილეობა.

კვლევისა და თეორიის მხარდაჭერა - შეფასებას შეუძლია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მონაწილეობის შესწავლასა და პრაქტიკის გაუმჯობესებას. მოქალაქეთა მონაწილეობაზე ჩატარებული კვლევების უმეტესობა განიხილავს კითხვებს სფეროზე (თუ ვინ მონაწილეობს? რამდენი მონაწილეობს? როგორ არის ეს სტრუქტურირებული?). ნაკლებია აქცენტი ხარისხობრივ კითხვებზე (ეფექტურია თუ არა მონაწილეობა? რა არის მისი გავლენა და შედეგები?). და ამგვარი შინაარსის სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ შეფასების საშუალებით.

შეფასება შეიძლება სასარგებლო იყოს მთელი რიგი აუდიტორიისათვის. მუნიციპალიტეტის (საკრებუ-ლო, მერია) წარმომადგენლები, პროგრამის მართვის გუნდი, მონაწილეები, ადრესატი საზოგადოება, პრაქტიკოსები, მეცნიერები, მოქალაქეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ სხვები, ვინც შესაძლებელია დაინტერესებული იყოს შეფასების შედეგებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითო-ეულმა მათგანმა შეიძლება მოინდომოს და თავად შეაფასოს პროგრამა სხვადასხვა კრიტერიუმით და მათ ხელთ არსებული ინფორმაციით. შესაბამისად, არაფორმალურმა შეფასებებმა შეიძლება უპასუხოს რომელიმე ცალკეული აუდიტორიის საჭიროებებს (მაგალითად, მონაწილეების ან საზოგადოების), მაგრამ, სხვა აუდიტორიამ შეიძლება მოითხოვოს უფრო მკაცრი შეფასებები, რომლებიც დაფუძნებული იქნება სოციალურ მეცნიერებებში მიღებულ კვლევის სისტემურ მეთოლოგიაზე (მაგ., აკადემიური პერსონალი). ანალოგიურად, ზოგიერთი აუდიტორია (მაგალითად, პრაქტიკოსები და არჩეული თანამ-დებობის პირები) შეიძლება უფრო იმ გავლენით დაინტერესდნენ, რაც მონაწილეობამ მოახდინა ინდივიდებზე ან ჯგუფებზე, მაშინ როცა სხვა აუდიტორიას (მაგ., პროგრამის მენეჯერები და საჯარო მოხელეები) შეიძლება უფრო მეტად პროგრამის ხარჯეფექტიანობა აინტერესებდეს.

შეფასება შეიძლება იყოს რთული, რესურსებით დატვირთული ამოცანა. შეფასება ხშირად „დამაფ-რთხობელი“ სიტყვაა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფლებამოსილი პირის აღშფოთება, განსაკუთრე-ბით კი მათი, ვინც ახალბედაა და შესაბამისი გამოცდილება არა აქვს. შეფასების ტექნიკური საკითხები, თანამშრომლების და კოლეგების აზრები და პროგრამის განმახორციელების თვითშეფასება,

შეიძლება, რისკებს შეეიცავდეს. უფრო მეტიც, დრო, ფული, პერსონალი და სხვა ძვირფასი რესურსები ხშირად დეფიციტურია, რაც შემფასებლის ამოცანას კიდევ უფრო ართულებს.

გასათვალისწინებელია სხვა რამდენიმე საკითხიც. პირველ რიგში, შეფასების ძალისხმევა განსხვავდება იმისდა მიხედვით, ფასდება საზოგადოების მონაწილეობის პროცესი, რომელიც მოიცავს თვეებსა და წლებზე გაწერილ რამდენიმე აქტივობას, თუ ფასდება პროგრამა, რომელიც გრძელვადიანია და მრავალ პროცესს მოიცავს.

შეფასება, როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება განხორციელდეს როგორც გარე, ისე შიდა მხარის მიერ.

პროგრამის შეფასების მიმოხილვა

პროგრამის შეფასებას 5 ძირითადი ნაბიჯი აქვს:

- წინასწარი დაგეგმვა და მომზადება;
- შეფასების დიზაინი;
- შეფასების განხორციელება;
- მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რეკომენდაციების შემუშავება;
- შედეგების გაცნობა და წარდგენა.

ცხრილი #6 პროგრამის შეფასების ძირითადი ნაბიჯები

პროგრამის შეფასების ძირითადი ნაბიჯები

1. **წინასწარი დაგეგმვა და მომზადება:**

- განსაზღვრეთ შეფასების მიზნები და ამოცანები;
- გადაწყვიტეთ დროსთან და თანხებთან დაკავშირებული საკითხები;
- შეარჩიეთ შემფასებელი (ები);
- აარჩიეთ შეფასების აუდიტორია (ები).

2. **შეფასების დიზაინი:**

- განსაზღვრეთ შეფასების ფოკუსი მთლიანი პროგრამის დიზაინისა და ოპერირების კუთხით;
- განავითარეთ კვლევისთვის საჭირო შეკითხვები და გაზომვადი ინდიკატორები პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე დაფუძნებით;
- განსაზღვრეთ შეფასების საჭირო დიზაინის სტრატეგია;
- განსაზღვრეთ, როგორ უნდა შეგროვდეს მონაცემები საჭიროებებსა და ხელმისაწვდომობაზე დაფუძ-ნებით.

3. **შეფასების განხორციელება;**

- მიიღეთ შესაბამისი ზომები მაღალი ხარისხის ინფორმაციის შესაგროვებლად;
- შეიყვანეთ მონაცემები ან სხვაგვარად დააგროვეთ ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია.

4. **მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რეკომენდაციების შემუშავება:**

- ჩაატარეთ მონაცემთა ანალიზი და შედეგები განმარტეთ იმდაგვარად, რომ შეფასება სრულად შეესაბა-მებოდეს პროგრამის მთლიან დიზაინს, შეიმუშავეთ შესაბამისი რეკომენდაციები.

5. **შედეგების გაცნობა და წარდგენა:**

- გადაწყვიტეთ, რომელი შედეგები უნდა წარვადგინოთ და გავაცნოთ;
- განსაზღვრეთ შესაბამისი აუდიტორია;
- განსაზღვრეთ საუკეთესო მეთოდები საკომუნიკაციო შედეგებისთვის;
- შედეგები მოამზადეთ შესაფერისი ფორმატით;
- გაავრცელეთ და გააზიარეთ შედეგები.

პირველი ნაბიჯი: წინასწარი დაგეგმვა და მომზადება

ეს არის წამყვანი ელემენტი კარგი შეფასების მისაღებად. საწყის ეტაპზე, პროექტის მართვის გუნდი რამდენიმე სერიოზულ გადაწყვეტილებას იღებს, რაც შეფასების მთლიან ხარისხსა და სარგებლიანობას განსაზღვრავს. ამისათვის მართვის გუნდის წევრებმა შემდეგი სამუშაოები უნდა შეასრულონ:

- **უნდა განსაზღვრონ შეფასების მიზნები და ამოცანები,** რაც მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული მონაწილეობის პროგრამების მიზნებთან და ამოცანებთან.
- **უნდა გადაწყვიტონ დროსთან და თანხებთან დაკავშირებული საკითხები**, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, ესენია: განხორციელების ინდიკატორების რაოდენობა და კომპლექსურობა, შეფასების დიზაინის სახეობა, საჭირო სტატისტიკური მნიშვნელობის დონე, შესადარებლად მისაღები მონაცემების ხელმისაწვდომობა, შეფასების ჩასატარებლად შერჩეული სუბიექტები და სხვა.
- **შეარჩიონ თუ ვინ განახორციელებს შეფასებას.** სასურველი შემფასებლებისთვის აუცილებელია შემდეგი თვისებები: ობიექტურობა, გამოცდილება, ტექნიკური ცოდნა და ასევე - ორგანიზაციისა და კონტექსტის გაგება, რომელშიც პროგრამა ოპერირებს.
- **აარჩიონ პოტენციური აუდიტორიები შეფასებისთვის** და იყვნენ მოქნილები მათი ცვლადი საჭიროებებისა და ინტერესებისადმი, როგორც ეს წარმოდგენილია თანდართულ ცხრილში ,,სხვადასხვა აუდიტორიის პოტენციური ინტერესები''.

ცხრილი #7 სხვადასხვა აუდიტორიის პოტენციური ინტერესები

სხვადასხვა აუდიტორიის პოტენციური ინტერესები

პროგრამის მართვის გუნდის წევრები, როგორც წესი, დაინტერესებული არიან იმით თუ როგორ მუშაობს მონაწილეობის პროგრამა და როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ის. პროცესის შეფასების შედეგები მათთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ზეგავლენის შეფასების შედეგებიც.

სხვა უწყებების წარმომადგენლები და მენეჯერები (მაგ. საფინანსო სამსახურების წარმომადგენლები, მთავარი კონსულტანტები, მთავარი აუდიტორები და სხვანი) ასევე არიან დაინტერესებული შეფასების შედეგებით. მაგალითად, საფინანსო სამსახურების თანამშრომლები დაინტერესებული არიან იმით, თუ როგორია მონაწილეობის პროგრამის ხარჯები და როგორ შეიძლება ამ ხარჯების შემცირება. მთავარი კონსულტანტები და მთავარი აუდიტორიები დაინტერესებული არიან ხელმისაწვდომობითა და შედეგებით. სხვა პირებს კი, შესაძლოა აინტერესებდეთ, თუ რამდენად განზოგადებადია შეფასების შედეგები და შესაძლებელია თუ არა პროგრამის გამეორება.

საკრებულოს წევრებს შესაძლებელია აინტერესებდეთ, თუ როგორ განხორციელდა სამოქალაქო მონაწილეობა და როგორ და რა შედეგით იქნა გამოყენებული მათ მიერ დადგენილი რეგულაციები.

სამეცნიერო საზოგადოება, მკლევარები და პრაქტიკოსები დაინტერესებული არიან პროგრამის დიზაინისა და შედეგების კავშირების დადგენით.

პროგრამის მონაწილეები დაინტერესებული არიან შეიტყონ, თუ როგორ იმოქმედა პროგრამაში მათმა მონაწილეობამ საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ზოგადად **მოქალაქეებს** კი აინტერესებთ, გაიგონ თუ როგორ მოქმედებს საჯარო მონაწილეობის პროგრამა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

მეორე ნაბიჯი: შეფასების დიზაინი

ამ ნაბიჯის მიზანია, ისე ჩამოაყალიბოს შეფასება, რომ მან მოიცვას სასურველი და საჭირო ინფორმაცია, მაგრამ, ასევე, იყოს თავსებადი ფინანსურ და დროის შეზღუდვებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ოთხი საკითხი:

- **განისაზღვროს შეფასების ფოკუსი** მონაწილეობის პროგრამის მთლიანი დიზაინის და ოპერირების კუთხით. როგორც აღინიშნა, ორი ტიპის შეფასება - პროცესის და ზეგავლენის - არის მოქალაქის მონაწილეობისთვის სარგებლიანი;
- **შემუშავდეს კვლევისთვის საჭირო შეკითხვები და განხორციელების ღონისძიებები,** რაც დაკავშირებული იქნება შეფასების მიზნებსა და ამოცანებთან;
- **განისაზღვროს შეფასებისთვის საჭირო დიზაინის სტრატეგია.** არსებობს რამდენიმე ყველაზე გავრცელებული შეფასების სტრატეგია. მათ შორისაა შემთხვევების შესწავლა, დროის სერიები, კვაზი-ექსპერიმენტული და ექსპერიმენტული კვლევები და თითოეულის სარგებელი და ნაკლოვანებები.
- **მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები მონაცემების შეგროვებებაზე** დაფუძნებულ და ხელმისაწვდომ ანდა პოტენციურ მონაცემებთა წყაროებზე, როგორიცაა: დაკვირვების, არქივის და პროგრამის მონაცემები.

ცხრილი #8 შეფასების დიზაინის გავრცელებული სტრატეგიები

შეფასების სტრატეგია	აღწერა	სარგებელი	ნაკლოვანებები
შემთხვევების შესწავლა	• იმ ერთ ან მეტ შემთხვევაზე ფოკუსირება, სადაც მონაწილეობა გამოყენებულ იქნა; • შეიძლება აღიწეროს პროგრამის მიზნები, ამოცანები, დაწყების პროცედურები, განხოციელების პროცესები და შედეგები.	• დეტალური აღწერა, რაც იძლევა შედარების საშუალებას იმ მსგავსი სიტუაციებისა, როცა მონაწილეობა ან იქნა გამოყენებული, ან - არა; • შედარებით იაფი და ნაკლებად შრომატევადი.	• დასკვნასთან დაკავშირებული; • ნაკლები სამეცნიერო წონა; • არ იძლევა მიზეზისა და ეფექტის შესწავლის საშუალებას.
დროის სერიების დიზაინი	• დროის განმავლობაში შეგროვ-დეს ინფორმაცია კონკრეტული ჯგუფის შესახებ.	• დროის განმავლობაში ინდიკატორების ცვლილების შეფასების საშუალებას იძლევა (მაგ., მონაწილეების აღქმები).	• ითხოვს გრძელვადიან მონაცემებს. • არ იძლევა სხვა ჯგუფთან შედარების საშუალებას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მონაცემები ამ ჯგუფისთვისაც შეგროვდა).
კვაზი-ექსპერიმენტული შედარების ჯგუფის კვლევა.	• იყენებს ბუნებრივად წარმოდგენილ ჯგუფებს (მაგ., მათი, ვინც მონაწილეობა მიიღო ან არ მიიღო პროგრამაში) შედეგების შესაფასებლად.	• სასარგებლოა იმის გასარკვევად, მიღებული შედეგები წარმოადგენს პროგრამის შედეგს თუ - რაიმე სხვას.	• ყოველთვის არაა ხელმისაწვდომი ინფორმაცვია იმ ჯგუფების, შესახებ, რომლებიც პროგრამაში არ მონაწილეობენ.
ექსპერიმენტული კონტროლის ჯგუფის კვლევა.	• შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა ის ინდივიდები, რომლებიც მონაწილეობენ ან არ მონაწილეობენ პროგრამაში.	• საუკეთესო გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს შედეგები პროგრამის განხორციელების შედეგად დადგა; • აქვს ყველაზე მძიმე სამეცნიერო წონა.	• ყოველთვის არაა შესაძლებელი ეთიკური, ფინანსური ან სხვა მიზეზის გამო; • კომპლექსური კვლევის დიზაინი, რომელიც შედარებით ძვირია და მეტ დროს მოითხოვს.

მესამე ნაბიჯი: შეფასების განხორციელება

ამ ეტაპზე იწყება დიზაინის მიხედვით შეფასება და მონაცემთა შეგროვება. მიზანია მოპოვებულ იქნეს: მაღალი ხარისხის, სანდო, ვალიდური მონაცემები; საიმედო შეფასების ინსტრუმენტი, მაგალითად, ინტერვიუ ან გამოკითხვა, რომელიც კვლავ გამოიღებს ერთსა და იმავე შედეგს; შეფასების ვალიდური ინსტრუმენტი (ან ინდივიდუალური ღონისძიებები შეფასების ინსტრუმენტის ფარგლებში) რომელიც ზუსტად ზომავს იმას, რისი გაზომვაცაა საჭირო.

მეოთხე ნაბიჯი: მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტირება, რეკომენდაციების შემუშავება

მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია (განმარტება) შეიძლება მერყეობდეს მარტივიდან უაღრესად რთულ სტატისტიკურ მეთოდებამდე. ანალიზის არჩევანი დამოკიდებულია შეფასების მიზნებზე, შეფასების საერთო დიზაინზე, შეგროვებული მონაცემების სახეობაზე (ებზე), შეფასების აუდიტორიის ინტერესსა და შეფასების დასრულების ვადაზე. გასათვალისწინებელია, რომ ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მეხუთე ნაბიჯი: შედეგების გაცნობა და წარდგენა

ანალიზის დასრულების შემდეგ შედეგები უნდა ეცნობოს შესაბამის აუდიტორიას. ამისათვის პროგრამის მართვის გუნდმა შედეგები უნდა წარუდგინოს საკრებულოს და მერს. ასევე, მათ უნდა განსაზღვრონ შედეგების წარდგენის საუკეთესო გზები, მოამზადონ შედეგები შესაბამისი ფორმატიით და გაავრცელონ ისინი.
საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინებით გთავაზობთ შეფასების განხორციელების ორი მიდგომას. მუნიციპალიტეტმა თავად უნდა შეიმუშავოს შეფასების მეთოდოლოგია/დიზაინი, ასევე შესაძლებელია მიდგომების კომბინირება და საკუთარი მიდგომის შემუშავება.

2.1 შეფასება - მიდგომა I

შეფასებისას შეგვიძლია განვიხილოთ ორი სახის შეფასება - **პროცესის შეფასება** (რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მართვისა და განხორციელების შეფასებაზე და ეხმარება პროგრამის მართვის გუნდის წევრებს უკეთ გაიგონ და გააუმჯობესონ მოქალაქეთა მონაწილეობის პროგრამების განხორციელება და მართვა) და **ზეგავლენის შეფასება** (რომელიც ორიენტირებულია პროგრამის შედეგების შეფასებაზე და ეხმარება მენეჯერებს დაადგინონ, მიაღწია თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობის პროგრამამ სამიზნე აუდიტორიას და გამოიღო თუ არა სასურველი შედეგები) - ეს ორივე კრიტერიუმი მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მონაწილეობის გასაგებად. მონაწილეობის პროგრამის როგორც პროცესის, ზეგავლენის შეფასება შესაძლოა იყოს სასურველი, თუმცა შეიძლება ყოველთვის არ იყოს შესაძლებელი და პრაქტიკული.

ცხრილი #9 პროცესისა და ზეგავლენის შეფასებების სხვაობა

	პროცესის შეფასება	**ზეგავლენის შეფასება**
განმარტება	სისტემატური შეფასება, რომ პროგრამა ოპერირებს მისი დიზაინის შესაბამისად და აღწევს განსაზღვრულ სამიზნე მოსახლეობას.	ინტერვენციის შედეგებისა და ეფექტების სისტემატური შეფასება (ორივე: განსაზღვრულიც და უნებლიე), რომ გაირკვეს, მიაღწია თუ არა პროგრამამ სასურველ შედეგებს.
ყოვლისმომცველი მიზანი	უკეთ რომ იყოს გაგებული პროგრამის განხორციელების და მართვის ხარჯები და შედეგები.	რომ გაირკვეს, გამოიმუშავა თუ არა პროგრამამ მოსალოდნელი შედეგები.
ყოფლისმომცველი შეკითხვები	,,რა?'' • რა მიზანი უნდა ქონდეს პროგრამას? • რას აწვდის პროგრამა რეალობაში? • რა არის ჩავარდნა პროგრამის დიზაინსა და მიწოდებას შორის?	,,და რა მოხდა?'' • რა არის პროგრამის შედეგები? • რა მასშტაბისაა ეს ეფექტები ან შედეგების ინდიკატორებში ცვლილებები?
ფოკუსი	რესურსები (Inputs), შუალედური შედეგები (Outputs)	შედეგები (Outcomes)
ზოგიერთი პოტენციური გამოყენება	• იმის შეფასება, ოპერირებს თუ არა პროგრამა მისი დიზაინის შესაბამისად; • იმის განსაზღვრა, პროგრამას კარგად და ეფექტიანად მართავენ, თუ - არა; • იმის გაგება, თუ რამ იმუშავა და რამ - არა; • პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების არეალების განსაზღვრა.	• იმის შეფასება, მიაღწია თუ არა პროგრამამ დასახულ მიზნებსა და შედეგებს • იმის განსაზღვრა, განსხვავდება თუ არა შედეგები ჯგუფებისა და დროის მიხედვით • იმის დადგენა, ღირს თუ არა პროგრამა იმ ხარჯების გაწევად, რაც მის განსახორციელებლად განისაზღვრა. ანუ არის თუ არა პროგრამა ფასეფექტური. • დახმარება ქმედებების პრიორიტეტიზაციაში და გადაწყვეტილებების

		შეტყობინებაში, პროგრამის გაფართოების, მოდიფიცირების ან შეწყვეტის მიმართულებით.
აუდიტორია, რომელიც მოსალოდნელია, რომ დაინტერესდება	• პროგრამის მენეჯერები და თანამშრომლები; • სხვა უწყების წარმომადგენლები.	• პროგრამის მენეჯერები და თანამშრომლები; • სხვა უწყების წარმომადგენლები; • კანონმდებლები და არჩეული პირები; • სამეცნიერო საზოგადოება, მკვლევარები და პრაქტიკოსები; • პროგრამის მონაწილეები; • მოქალაქეები.

მოქალაქის მონაწილეობის მართვის შეფასება

პროცესის შეფასება არის ,,კომპლექსური შეფასება იმის შესახებ, მუშაობს თუ არა პროგრამა დიზაინის შესაბამისად და აღწევს თუ არა თავის სამიზნე აუდიტორიას''. პროცესის შეფასების ძირითადი **მიზანია** პროგრამის სიღრმისეული შესწავლა მისი განხორციელებისა და მართვის რესურსების (Inputs) და შუალედური შედეგების (Outputs) უკეთესად გაგებისთვის. შესაბამისად, პროცესის შეფასება პროგრამის ადმინისტრირების რამდენიმე სფეროს შეიძლება დაეხმაროს. მაგალითად, პროცესის შეფასებას შეუძლია, განსაზღვროს, რამ იმუშავა და რამ - არა; მას შეუძლია შეაფასოს, მოხდა თუ არა პროგრამის მართვა ეფექტიანად; ასევე, შეუძლია გამოკვეთოს პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები; ამასთან, შეუძლია დაეხმაროს, ვისაც ეს სჭირდება, ანგარიშვალდებულების მექანიზმების შეფასებაში და ასევე შეუძლია, განსაზღვროს პროგრამის სხვების მიერ გამეორების პოტენციალი. მოცემული პოტენციური სარგებლის გათვალისწინებით, პროცესის შეფასებებით სავარაუდოა, რომ დაინტერესდებიან მონაწილეობის პროგრამების მენეჯერები და თანამშრომლები და ასევე - სხვა უწყებების წარმომადგენლებიც.

როდესაც ატარებთ პროცესის შეფასებას, მნიშვნელოვანია გახსოვდეთ სამი კითხვა:

- რისთვისაა პროგრამა მოწოდებული?
- რეალობაში რისი მიწოდება შეუძლია პროგრამას?
- რა ზომით დასცილდა პროგრამის მიწოდება პროგრამის დიზაინს?

ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებია: **პროგრამის ორგანიზება და სტრუქტურა, სერვისის მიწოდება, ზოგადი და პროცესზე ორიენტირებული შედეგები, პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლები და ინტერვენციის ღონისძიებები**. ქვემოთ განხილულია შეფასების კონკრეტული მიმართულება თითოეული ამ ფართო ინდიკატორისთვის.

აქვე მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ორი საკითხი. პირველი, - ტერმინი ,,მონაწილეები" შემდგომ განხილვაში გულისხმობს სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს; რეალური შეფასებისას, შესაძლებელია, საჭირო გახდეს ამ ჯგუფებს შორის განსხვავებების ჩვენება. მეორე, - მოსალოდნელია, რომ მცირე განსხვავება იქნება პირისპირ და ონლაინ პროგრამების პროცესების შეფასებაში.

რჩევა: *განიხილეთ შიდა შემფასებლის გამოყენების შესაძლებლობა. იმის გამო, რომ პროცესის შეფასებები ორიენტირებულია და გამოიყენება ძირითადად შიდა მიზნებისთვის (მაგ. მონაწილეობის პროცესის განხორციელებისა და მართვის გაუმჯობესება), შიდა შემფასებლები (მაგ. პროგრამიდან ან უწყებიდან) შესაძლებელია იყოს განსაკუთრებით სასარგებლო და ხარჯეფექტიანი. დარწმუნდით, რომ შემფასებელი პროგრამის სამიზნე აუდიტორიის მიერ აღიქმება მიუკერძოებლად.*

პროგრამის ორგანიზება

პროგრამის ორგანიზება გადამწყვეტია მისი წარმატებისა და ეფექტურობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ შეფასდეს პროგრამის ორგანიზების სულ მცირე ხუთი კომპონენტი.

1. **პროგრამის განხორციელება და მოქმედება.** როგორ განხორციელდა პროგრამა და როგორ მუშაობს ის? რა პრობლემები შეიქმნა განხორციელების დროს და როგორ გადაწყდა ისინი? განხორციელდა თუ არა ყველა დაგეგმილი აქტივობა? თუ არა, მაშინ რა რჩება გასაკეთებელი? შესრულდა თუ არა დაგეგმი-ლი აქტივობები დროულად? რატომ ან რატომ - არა? გადაიხედა თუ არა მიზნები, გეგმები და განრიგი? თუ ასეა, - რატომ გახდა ეს საჭირო? რა დრო დაიხარჯა დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და სხვა პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის? რა ხარჯები გაიწია? გადააჭარბა თუ არა ხარჯებმა საწყის პროგნოზებს? რა მხარდაჭერის ხარისხი იყო უწყების შიგნით, შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის და საზოგადოებისგან? რა დასკვნები იქნა გამოტანილი, რაც შესაძლებელია მომავალი მცდელობებისთვის იყოს სასარგებლო? არის თუ არა პროგრამის სტრუქტურა და პროცესები კანონთან, რეგულაციებთან და ბრძანებებთან შესაბამისობაში; და ასევე შეესაბამება თუ არა ისინი უწყების გზამკვლევს, მანდატს, წესებს, რეგულაციებს და მოლოდინებს?

2. **რეგულაციები, გზამკვლევები და სტანდარტები.** უზრუნველყოფს თუ არა პროგრამის დირექტივები, გაიდლაინები, სახელმძღვანელოები და სტანდარტები საკმარის ინფორმაციას პროგრამის ადმინისტრირებისა და გამოყენებისათვის? არის თუ არა ეს მასალები პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში?

3. **პერსონალის და მონაწილეთა პასუხისმგებლობების განსაზღვრა.** პერსონალისა და მონაწილეების პასუხისმგებლობების გამიჯვნა რამდენად ახდენს გავლენას პროგრამის დიზაინსა და მოქმედებაზე? უწყობს თუ არა ხელს ეს აღნიშნული გამიჯვნა პროგრამის შეუფერხებელ და ეფექტურ მუშაობას?

4. **თანამშრომლების საკმარისი რაოდენობა.** არის თუ არა პერსონალის რაოდენობა, ტიპი და ტრენინგები ადეკვატური ოპერაციული საჭიროებების შესაბამისი? ასახავს თუ არა პერსონალის პასუხისმგებლობა პროგრამის დიზაინს და იძლევა თუ არა ეფექტური მუშაობის საშუალებას?

5. **კოორდინაცია და სამუშაო ურთიერთობები.** პროგრამის ამოცანების მისაღწევად დამყარებულია თუ არა ეფექტიანი თანამშრომლობა? ხდება თუ არა საჭირო კოორდინაცია სხვა შიდა ან გარე აქტორებთან (როგორც პირები, ისე - ორგანიზაციები)?

რჩევა: *გამოიყენეთ მონაწილეობის პროცესების მიწოდებაში ჩართული ადამიანები პროგრამის ორგანიზების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესაგროვებლად. მათ, სავარაუდოდ, ექნებათ მოსაზრებები და გამოცდილება, რომელიც შეიძლება მაშინვე არ იყოს აშკარა მათთვის, ვინც არ არის ფრონტის წინა ხაზზე. ამ ტიპის მონაცემების დიდი ნაწილის შეგროვება შესაძლებელია პროგრამის პერსონალთან სტრუქტურირებული დისკუსიების მეშვეობით, მაგ. პერსონალის შეხვედრებზე, ინტერვიუებზე ან ფოკუს ჯგუფებზე. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნება მენეჯერებისა და შემფასებლებისათვის შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც პერსონალი მონაწილეობის პროგრამების პოზიტიურ და ნეგატიურ საკითხებზე საუბრისას თავს კომფორტულად იგრძნობს.*

სერვისის მიწოდება

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირება, თავის მხრივ, ერთგვარი სერვისია, რომელსაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს თავის მოსახლეობას.

სერვისების მიწოდების ფარგლებში უნდა შეფასდეს სერვისის მიწოდების ოთხი მნიშვნელოვანი სფერო, მათ შორის - ხელმისაწვდომობა, ნეიტრალური მხარეები ან ფასილიტატორები, პროცედურული გაგება და საკითხების შერჩევა.

1. **ხელმისაწვდომობა:** ემსახურება თუ არა პროგრამა განსაზღვრულ საზოგადოებას? იციან თუ არა პოტენციურმა მონაწილეებმა პროგრამის შესახებ? როგორ ეცნობიან ისინი პროგრამას? ხელმისაწვდომია თუ არა პროგრამა ყველა იმ ადრესატისთვის ვიზეც პროგრამამ უნდა იქონიოს ზეგავლენა? წარმოდგენილია თუ არა ყველა პოტენციური ადრესატი და ან ზეგავლენის ობიექტი პროგრამაში? რა პროპორციით ან პროცენტულობით მონაწილეობდნენ პოტენციური მონაწილეები? რა იყო მონაწილეთა დემოგრაფიული და სხვა მახასიათებლები? იქონია თუ არა პროგრამის მოლოდინების აღქმამ გავლენა მათი მონაწილეობისთვის მზაობაზე? როგორია განმეორებითი მონაწილეობის ხარისხი?

2. **ნეიტრალური მხარეები ან ფასილიტატორები.** თუ პროგრამაში მონაწილეობენ ნეიტრალური მხარეები ან ფასილიტატორები, არიან თუ არა ისინი გონივრულად დატრენინგებული? აქვთ თუ არა მათ პროგრამა და მიზნები საკმარისად გააზრებული იმისთვის, რომ ეფექტიანად იმუშაონ?

3. **პროცედურული გაგება.** იაზრებენ თუ არა პროგრამის თანამშრომლები და მონაწილეები იმას, თუ როგორ მუშაობს პროგრამა? არსებობს თუ არა კავშირი პროგრამის გაგებასა და მონაწილეობის მიღების მათ სურვილს შორის? აქვთ თუ არა მონაწილეებს საჭირო მასალები და უნარები ეფექტიანი მონაწილეობის მისაღებად? აქვთ თუ არა მონაწილეებს გავლენის ან გაძლიერების შესაფერისი დონე?

4. **საკითხის შერჩევა.** განხილულია თუ არა შესაბამისი საკითხები პროგრამაში? არის თუ არა განხილული საკითხები პოლიტიკის პროცესის სწორ დონეზე? აღიქვამენ თუ არა მონაწილეები საკითხების შერჩევისა და დროის საკითხებს სამართლიანად? ხომ არ დარჩა განუხილველად ისეთი კონკრეტული საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა განხილულიყო?

რჩევა: *განიხილეთ სერვისის მიწოდების მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების ინტეგრირება მონაწილეობის რეგულარულ პრაქტიკაში. მაგალითად, რეგისტრაციის ფორმები ან გამოკითხვები შეიძლება გამოყენებულ იქნას მონაწილეებისგან ინფორმაციის მიღებისთვის შემდეგ საკითხებზე: ცნობიერების, დემოგრაფიის, ნეიტრალური მხარეების აღქმის და პროცედურულ მიმართულებებზე. ანალოგიურად, მოკლე და მარტივი გამოკითხვები შეიძლება ჩაუტარდეს ნეიტრალურ მხარეებს ან ფასილიტატორებს ამ საკითხების შესახებ მათი აღქმების მიღების მიზნით. მონაცემების შეგროვება მონაწილეობითი პროგრამის დროს გაადვილებს შეფასებას.*

ზოგადი და პროცესზე ორიენტირებული შედეგები

როგორც ზოგადი, ისე პროცესზე ორიენტირებული შედეგები მნიშვნელოვანია პროცესის შეფასებისას.

- **ზოგადი შედეგები** - მაგალითები მოიცავს მონაწილეთა რაოდენობას; შეტყობინებული საკითხების რიცხვსა და სახეობებს; განსახილველი საკითხების რაოდენობასა და სახეობებს; შექმნილი და გავრცელებული ანგარიშების რაოდენობას; შეგროვებული მონაცემების რაოდენობასა და სახეობებს; შექმნილი მონაცემთა ბაზების რაოდენობასა და ტიპებს და ცვლილებებს გზამკლვევებში, დირექტივებსა და გეგმებში.

რჩევა: *განიხილეთ მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენება, რათა შეაგროვოთ შედეგების (და სხვა) მონაცემები. შედეგების მონაცემების უმეტესობა არის ციფრებზე ორიენტირებული და დოკუმენტაციიდან ადვილად შესაგროვებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა დოკუმენტაციის სისტემა შეიქმნა პროგრამამდე და გამოიყენება მთელი პროცესის განმავლობაში. ასეთ დოკუმენტაციაზე მუშაობა შეიძლება ჩაიწეროს თანამშრომლების სამუშაო აღწერილობაში.*

- **პროცესზე ორიენტირებული შედეგები.** - შედეგები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა პროცესები გამოიყენება პროგრამაში. სპექტრის თითოეული დონის შედეგების მაგალითები

მოცემულია ქვემოთ. ეს მაგალითები არ არის ყოვლისმომცველი და განსხვავდება პროგრამის სპეციფიკური ბუნების მიხედვით.

- **ინფორმირება:** გაგზავნილი ან მიწოდებული ფაქტების ფურცლების ან ბუკლეტების რაოდენობა; ვებ-გვერდზე დაჭერა; ჩატარებული ,,ღია სახლები'' ან ,,შეხვედრები''; მომხმარებლის სერვისცენტრებისთვის მიმართვა;
- **კონსულტაცია:** საჯარო შეხვედრებზე ან ფოკუსჯგუფებზე დამსწრეთა რიცხვი; მიღებული კომენტარები; ჩატარებული გამოკითხვები; წამოჭრილი ან პასუხგაცემული საკითხები;
- **ჩართულობა:** ვორქშოპებზე ანდა სხვა შეხვედრებზე დამსწრეთა რიცხვი; ხმის მიმცემი ინდივიდები; გამოკითხული ინდივიდები; წამოჭრილი ან პასუხგაცემული საკითხები; შემოთავაზებული ეფექტიანი ალტერნატივები;
- **თანამშრომლობა:** მონაწილეთა რაოდენობა; წამოჭრილი ან განხილული საკითხები და პრობლემები; ეფექტიანი იდეები, წარმოშობილი და განხორციელებული ალტერნატივები ან რეკომენდაციები; ახალი თანამშრომლობის განვითარების ურთიერთობები;
- **გაძლიერება:** მონაწილეთა რაოდენობა; წამოჭრილი ან განხილული საკითხები და პრობლემები; ეფექტიანი იდეები, ალტერნატივები ან რეკომენდაციები.

პროგრამის სპეციალური მახასიათებლები

თითოეული საზოგადოებრივი მონაწილეობის პროცესი არის უნიკალური; ამიტომ, პროგრამის მართვის გუნდის წარმომადგენლებმა და შემფასებლებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცესის სპეციფიკური მახასიათებლების შესწავლა. ეს უნიკალური თვისებები შეიძლება ეხებოდეს პროგრამის დიზაინს, პროგრამის შემუშავებასა და ადმინისტრირებაში მონაწილე პერსონალს, უწყების მხარდაჭერას და სხვას.

რჩევა: *ესაუბრეთ პროგრამის პერსონალსა და დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის იმ კონკრეტული მახასიათებლების დასადგენად, რომლებიც პროცესის შეფასებისთვის იქნება საინტერესო.*

ინტერვენციის ღონისძიებები

პროგრამები მოქმედებენ მუდმივად ცვალებად გარემოში და შესაძლებელია ინტერვენციის ღონისძიებებმა გავლენა იქონიონ პროცესის შეფასების შედეგებზე. ინტერვენციის ღონისძიებების სახეები, რომლებმაც შეიძლება პროგრამაზე გავლენა იქონიოს, მრავალრიცხოვანი, რთული და მრავალფეროვანია; ისინი შეიძლება გაკონტროლდეს ან აღმოიფხვრას ან - ვერა. მაგალითები მოიცავს გარემოს შიდა ცვლილებებს ან უწყებრივი დონის მოვლენებს, როგორიცაა პოლიტიკის ცვლილებები, ბიუჯეტის ცვლილებები ან ცვლილებები ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციაში და სხვა; ასევე გარე ცვლილებები, როგორიცაა ღონისძიებები საზოგადოებაში და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პოლიტიკა და პროგრამები.

პროცესის შეფასების არეალები, ძირითადი შეკითხვა და ინფორმაციის წყაროები

ცხრილი მოიცავს პროცესის შეფასების თითოეულ სფეროს, მთავარი შეკითხვებისა და სასარგებლო მონაცემთა წყაროების გათვალისწინებით. პროგრამის მენეჯერსა და შემფასებელზეა დამოკიდებული დადგინდეს ამათგან რომელი (და პოტენციურად სხვა) სფერო და შეკითხვებია ყველაზე მნიშვნელოვანი და გამოსაყენებელი პროგრამის შეფასებისთვის. მოცემულია მაგალითები და მინიშნებებიც, რომლებიც დაგეხმარებათ ამ საქმეში; ასევე იხილეთ დანართ 1-ში მოცემული სამუშაო ფურცლები.

ცხრილი #10 პროცესის შეფასების არეალები, ძირითადი შეკითხვა და ინფორმაციის წყაროები

შეფასების არეალი	ძირითადი შეკითხვა	ინფორმაციის წყაროები
პროგრამის ორგანიზება		
1. პროგრამის განხორციელება და მოქმედება	განხორციელდა და მოქმედებდა თუ არა მონაწილეობითი პროგრამა ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო?	საარქივო, დოკუმენტებში ასახული, პროგრამის თანამ-შრომლები
2. დირექტივები, გზამკვლევები და სტანდარტები	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამის დირექტივები, გაიდლაინები, სახელ-მძღვანელოები და სტანდარტები საკმა-რის ინფორმაციას პროგრამის ადმინის-ტრირებისა და გამოყენებისათვის?	საარქივო, დოკუმენტებში ასახული, პროგრამის თანამ-შრომლები
3. პერსონალის და მონაწილეთა პასუხისმგებლობების განცალკევება.	ასახავს თუ არა თანამშრომელთა და მონაწილეთა პასუხისმგებლობების გან-ცალკევება პროგრამის დიზაინს და უწყობს თუ არა ხელს ეს პროგრამის შეუფერხებელ და ეფექტურ მუშაობას?	საარქივო, დოკუმენტებში ასახული, პროგრამის თანამ-შრომლები
4. კადრების საკმარისი რაოდენობა.	არის თუ არა პერსონალის რაოდენობა, სახეობა და ტრენინგები ადეკვატური მონაწილეობითი პროგრამის ოპერა-ციულ საჭიროებებისა?	საარქივო, დოკუმენტებში ასახული, პროგრამის თანამ-შრომლები
5. კოორდინაცია და სამუშაო ურთიერთობები.	დამყარებულია თუ არა ეფექტიანი თანამ-შრომლობა მონაწილეობითი პროგრამის ამოცანების მისაღწევად?	საარქივო დოკუმენტებში ასახული პროგრამის თანამ-შრომლები, დაინტერესებული მხარეები, დაკვირვება.
სერვისის მიწოდება		
1. ხელმისაწვდომობა	იციან თუ არა პოტენციურმა მონაწილეებმა პროგრამის შესახებ და მიუწვდებათ თუ არა ხელი მასზე?	მონაწილეები, პროგრამის თანამშრომლები
2. ნეიტრალური მხარეები/ფასილიტატორები	არიან თუ არა მონაწილეობით პროგ-რამაში ნეიტრალური/ფასილიტატორი მხარეები ეფექტური?	მონაწილეები, პროგრამის თანამშრომლები, დაკვირვე-ბის შედეგად მიღებული ინფორმაცია

3. პროცედურული გაგება	ერთნაირად ესმით თუ არა პროგრამის თანამშრომლებს და მონაწილეებს, თუ როგორ მუშაობს ეს პროგრამა?	მონაწილეები, პროგრამის თანამშრომლები
4. საკითხის შერჩევა	განხილულია თუ არა შესაბამისი საკით-ხები ამ პროგრამაში?	მონაწილეები, პროგრამის თანამშრომლები, დაინტერე-სებული მხარეები, დაკვირ-ვება
ზოგადი და პროცესზე ორიენტირებული შედეგები	რა არის მონაწილეობის პროგრამის ზოგადი შედეგები? რა არის ის შედეგები, რაც დაკავშირებულია პროგრამის მიზ-ნებთან და ამოცანებთან?	საარქივო
პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლები	მონაწილეობის პროგრამის რა უნიკალუ-რი მახასიათებლები უნდა შეფასდეს?	ინფორმაციის ყველა შესაძ-ლო წყარო, შეფასებული მახასიათებელების გათვა-ლისწინებით
ინტერვენციის ღონისძიებები	რა ღონისძიებებს შეიძლება ექონია გავ-ლენა პროგრამის განხორციელებასა და მუშაობაზე.	დაკვირვება, პროგრამის თანამშრომლები

რომ შევაჯამოთ, პროცესის შეფასების მიზანია განსაზღვროს ის, აღწევს თუ არა პროგრამა თავის სამიზნე აუდიტორიას და მუშაობს თუ არა თავისი დიზაინის შესაბამისად. პროცესის შეფასების ზოგადი მიზანი არის პროგრამის გაძლიერება განხორციელების და მართვის რესურსების (inputs) და შეუალედური შედეგების (Outputs) გაგებით. პროცესის შეფასება შეიძლება იყოს სასარგებლო მენეჯერული ინსტრუმენტი, რაც პროგრამის გაუმჯობესებას რამდენიმე მიმართულებით დაეხმარება.

ამ ნაწილში განხილული პროცესის შეფასების ნაბიჯები შესაფასებელ და გასაანალიზებელ რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროს ასახავს და ამისთვის სთავაზობს კონკრეტული კითხვებსა და ინდიკატორებს. სხვა მნიშვნელოვანი კითხვები და ინდიკატორები შესაძლოა შემუშავდეს და უნდა შემუშავდეს საჯარო მმართველობაში მოქალაქეების მონაწილეობის შეფასების საფუძვლიანი პროცესისთვის. თუმცა, პროგრამის ორგანიზების სფეროების, სერვისის მიწოდების, ზოგადი და პროცესზე ორიენტირებული შედეგების, პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლებისა და ინტერვენციის ღონისძიებების შეფასებით მენეჯერს უნდა შეეძლოს უფრო ვრცლად გაიგოს მოქალაქეების მონაწილეობის პროგრამა. ასევე, მან უნდა შეაფასოს მისი განვითარება და განსაზღვროს გაუმჯობესების შესაძლებლობები.

მოქალაქის მონაწილეობის ზეგავლენის შეფასება

პროცესის შეფასება ფოკუსირებულია კითხვაზე „რა'', ხოლო ზეგავლენის შეფასება კითხვაზე "და რა მოხდა". კერძოდ, ზეგავლენის შეფასება არის სისტემური შეფასება იმისა, მიაღწია თუ თუ არა ინტერვენციამ (ამ შემთხვევაში მონაწილეობის ბიუჯეტირების პროგრამამ) თავის მიზნებს და წარმოშვა თუ არა განსაზღვრული შედეგები. ზეგავლენის შეფასების ზოგადი მიზანია, განსაზღვროს და გამოავ-

ლინოს, თუ რამდენად დაფიქსირდა ცვლილებები შედეგების ინდიკატორებში პროგრამის საქმიანობის გამო. იმ გამოწვევებს შორის, რომლებიც ართულებს ზემოქმედების შეფასებას და კიდევ უფრო რთულს ხდის მას პროცესის შეფასებასთან შედარებით:

- ზეგავლენის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ პროგრამის განხორციელების შემდეგ;
- მონაწილეობის ბევრ ეფექტს განხორციელებისათვის დრო სჭირდება; შედეგები შეიძლება არ გამოვლინდეს პროცესის დასრულებიდან რამდენიმე თვის ან თუნდაც წლის შემდეგაც კი;
- ზეგავლენის შეფასება გულისხმობს წარმატების განსაზღვრული მიზნებისა და კრიტერიუმების ერთობლიობას; ანუ იგულისხმება ეფექტიანობის დეფინიცია;
- მონაწილეობითი პროცესების შეფასებისას გამოწვევაა კონტრფაქტის განსაზღვრა; რთულია იმის განსაზღვრა, რა შედეგები დადგებოდა მონაწილეობის არგანხორციელების შემთხვევაში.

ამ გამოწვევების მიუხედავად, ზეგავლენის შეფასებას მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება შეუძლია. მაგალითად, მან შესაძლებელია ხელი შეუწყოს პროგრამის ეფექტიანობის გაუმჯობესებას იმ კითხვებზე პასუხის გაცემის შემთხვევაში, როგორიცაა: მიაღწია თუ არა პროგრამამ დასახულ მიზნებს ან შეცვალა თუ არა მოსალოდნელი შედეგები; პროგრამის გავლენები განსხვავდება მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფის ან დროის პერიოდით თუ - არა; არსებობს თუ არა პროგრამის გაუთვალისწინებელი დადებითი თუ უარყოფითი შედეგები ან ეფექტები; ეფექტიანია თუ არა პროგრამა ალტერნატიულ ჩარევებთან შედარებით; და ღირს თუ არა პროგრამა იმად, რაც ჯდება. შესაბამისად, ზეგავლენის შეფასებას შეუძლია დაეხმაროს ქმედებების პრიორიტეტიზაციასა და გადაწყვეტილებების ნაწილს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა კონკრეტული პროგრამის შეცვლა, გაფართოება, გამეორება ან შეწყვეტა. ამ პოტენციური სარგებლის გათვალისწინებით, ზეგავლენის შეფასება შესაძლებელია იყოს ღირებული ფართო აუდიტორიისათვის: პროგრამის მართვის გუნდისათვის, თანამშრომლებისათვის, სხვა უწყების წარმომადგენლებისათვის, არჩეული თანამდებობის პირებისათვის, აკადემიური პერსონალისათვის, მკვლევარების, პრაქტიკოსების, პროგრამის მონაწილეებისა და ფართო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისათვის.

ზეგავლენის შეფასების ჩატარებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რამდენიმე ძირითადი კითხვა, მათ შორის:

- რა მუშაობს და რა - არა?
- სად, როდის, რატომ და როგორ მუშაობს განსაზღვრული ელემენტები?
- რა ღირს მთლიანი პროგრამა და მისი კონკრეტული ელემენტები?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, რამდენიმე სფერო უნდა იქნას შესწავლილი, რომელთაგანაც უმთავრესია: პროდუქტიულობა (efficiency), მონაწილეთა კმაყოფილება, ზოგადი შედეგები, პროცესზე ორიენტირებული შედეგები, პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლები და ინტერვენციის ღონისძიებები.

ცხრილი #11 ზეგავლენის შეფასების სფეროები, ძირითადი კითხვები და მონაცემთა წყაროები

შეფასების სფერო	ძირითადი კითხვა	მონაცემთა წყაროები
პროდუქტიულობა		
1.მუნიციპალური ხარჯები	მუნიციპალიტეტის მიერ რა ხარჯები და რესურსებია საჭირო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამისთვის (მაგ., თანამშრომლების დრო, ანაზღაურება და სხვა რესურსები)?	საარქივო, პროგრამის თანამშრომლები
2.მუნიციპალიტეტის დრო	რა დრო დასჭირდა მუნიციპალიტეტს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამისთვის (დაგეგმვიდან დაწყებული, განხორციელების დიზაინისა და შეფასების ჩათვლით)?	საარქივო, პროგრამის თანამშრომლები
3.მონაწილეების ხარჯები	მონაწილეების რა ხარჯებს მოიცავს პროგრამა (მაგ., ბავშვებზე და ასაკოვნებზე ზრუნვა, ტრანსპორტირება და სხვა)?	მონაწილეები
4.მონაწილეების დრო	რა დრო დასჭირდათ მონაწილეებს პროგრამისთვის (მონაწილეობის მოსამზადებლად და დასრულების შემდეგ აქტივობები)?	მონაწილეები
მონაწილეების კმაყოფილება	რამდენად კმაყოფილები არიან მონაწილეები პროგრამის სხვადასხვა ასპექტით?	მონაწილეები
ზოგადი შედეგები		
1.სარგებელი ცალკეული პირებისთვის	რა არის ცალკეული პირებისთვის მონაწილეობის შედეგები?	მონაწილეები
2.სარგებელი საზოგადოებისთვის	რა არის შესაბამისი საზოგადოებისთვის (ებებისთვის) მონაწილეობის შედეგები?	მონაწილეები, დაინტერესებული მხარეები, პროგრამის თანამშრომლები
3.სარგებელი მუნიციპალიტეტისთვის	რა არის მუნიციპალიტეტისთვის მონაწილეობის შედეგები?	პროგრამის თანამშრომლები, მონაწილეები, დაინტერესებული მხარეები
4.სარგებელი პოლიტიკისა თუ საზოგადოებრივი აქტივობისთვის	რა არის პოლიტიკისა თუ საზოგადოებრივი აქტივობისთვის მონაწილეობის შედეგები?	პროგრამის თანამშრომლები, მონაწილეები, დაინტერესებული მხარეები
პროცესზე ორიენტირებული შედეგები	რა შედეგები მივიღეთ უშუალოდ მონაწილეობის პროგრამის მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით?	მონაცემთა ყველა შესაძლო წყარო, რაც დამოკიდებულია შეფასებულ აქტივობებზე
პროგრამის სპეციალური მახასიათებლები	მონაწილეობის პროგრამის რა უნიკალური მახასიათებელი უნდა შეფასდეს?	მონაცემთა ყველა შესაძლო წყარო, რაც დამოკიდებულია შეფასებულ აქტივობებზე
ინტერვენციის ღონისძიებები	ინტერვენციის რა ღონისძიებებს შეეძლო ექონია გავლენა მონაწილეობის პროგრამის განხორციელებასა და ოპერირებაზე?	მონაცემთა ყველა შესაძლო წყარო, რაც დამოკიდებულია შეფასებულ აქტივობებზე

რჩევა: *განიხილეთ გარე შემფასებლის ან შიდა და გარე შემფასებელთა გუნდის გამოყენება. ზემოქმედების შეფასება ხშირად მოითხოვს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის უფრო დიდ ძალისხმევას და გარე შემფასებლებს შესაძლოა ჰქონდეთ პროგრამის შეფასებისა და სტატისტიკის მეთოდების უფრო ძლიერი უნარები და შესაძლებლობები. უფრო მეტიც, გარე შემფასებლები შეიძლება ჩაითვალონ უფრო ობიექტურად და მიუკერძოებლად, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს შეფასების მიზნებისთვის. გარე შემფასებელთა კონტრაქტის ხარჯების შესამცირებლად განიხილეთ აკადემიური პერსონალის გამოყენება.*

პროდუქტიულობა

ეს არის ალბათ უმარტივესი სფერო, სადაც ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი, თუმცა არაა აუცილებელი, რომ ასეთივე მარტივი იყოს გასაზომად. მინიმუმ ორი სფერო - ხარჯები და დრო - უნდა შეფასდეს როგორც უწყების, ისე მონაწილეებიის კუთხით.

- **მუნიციპალური ხარჯები:** რა ფინანსური რესურსია საჭირო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამისთვის (გამოხატული პერსონალის დროში, ანაზღაურებაში, ასევე ისეთ რესურსებში, როგორიცაა მასალის მომზადება ან ტექნოლოგიები და სხვა რაოდენობრივი ფაქტორები)? ღირს თუ არა მონაწილეობა მოსალოდნელ ალტერნატივაზე უფრო მეტი ან ნაკლები? დაზოგავს თუ არა მონაწილეობა ფულს პოლიტიკის განხორციელების შემსუბუქებით, მაგალითად, საბოლოო გადაწყვეტილებასა ან ქმედებაზე კონფლიქტისა და პოტენციური გამოწვევების შემცირებით?

რჩევა: *იმუშავეთ გამოცდილ შემფასებელთან ერთად, რათა დადგინდეს მნიშვნელობა, რელევანტურობა და მონაწილეობის ხარჯების შეფასების მიზანშეწონილობა სხვა ალტერნატივებთან შედარებით და გრძელვადიანი პოლიტიკის განხორციელების კუთხით. მუნიციპალიტეტის ხარჯების შეფასება მოითხოვს ალტერნატიული სცენარებისა და მონაცემთა წყაროების სიმრავლეს. იდეალურ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნებოდა, მაგრამ რეალურ სამყაროში ეს ინფორმაცია შეიძლება ძალიან რთული შესაგროვებელი იყოს.*

- **მუნიციპალიტეტის დრო:** რამდენი დრო დასჭირდა უწყებას მთელი მონაწილეობითი პროგრამისთვის, დაწყებული დიზაინისა და დაგეგმვის ეტაპებიდან, შეფასების დასრულებამდე? დროის პარამეტრები უნდა შემოწმდეს ყველა სპეციალობის თანამშრომლისთვის (მაგ., ადმინისტრაციული, იურიდიული, მარკეტინგული და ა.შ.) და ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს სხვადასხვა საქმიანობაში მონაწილეობის მიხედვით.

რჩევა: *განიხილეთ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის გამოყენება, რათა თვალი ადევნოთ პროგრამის თანამშრომლებისთვის საჭირო დროს; ასევე საზოგადოების მონაწილეობისთვის გამოყოფილი ფინანსური ხარჯების პროგრამას. პროგრამაში ჩართულ თანამშრომლებს ეტაპობრივად შეეძლებათ პროგრამაში რელევანტური ინფორმაციის შეყვანა, რაც თვალის მიდევნებასა და ანალიზს ეფექტურს გახდის.*

- **მონაწილეების ხარჯები:** რა ხარჯებს საჭიროებს პროგრამაში მონაწილეობა (მაგ., ბავშვებზე და ასაკოვნებზე ზრუნვა, ტრანსპორტირება და სხვა)?
- **მონაწილეების დრო:** რა დრო იყო საჭირო პროგრამის მონაწილეებისთვის? (შენიშვნა: ღონისძიებები შეიძლება შეიცავდეს მომზადების, მოგზაურობის, მონაწილეობის აქტივობების და უკუკავშირისთვის საჭირო საქმიანობის დროსაც).

რჩევა: *განიხილეთ გამოკითხვის ფორმის გამოყენება მონაწილეთა ხარჯებისა და დროის დასადგენად. ამ ტიპის გამოკითხვებს შეუძლია უბრალოდ სთხოვოს რესპონდენტებს მიუთითონ სხვადასხვა ხარჯი და შეაფასონ მონაწილეობის პროცესში დახარჯული დრო. გამოკითხვები პირისპირი პროგრამებისთვის შესაძლებელია ჩატარდეს უშუალოდ ადგილზე - პროცესის დაწყებამდე ან მის შემდეგ. ონლაინ-პროგრამებისთვის ადმინისტრატორებს შეუძლიათ მომხმარებლის ინტერფეისში დაინტეგრირონ ან pop-up ვებგამოკითხვა ან მოწყობილობა, რაც ვებგვერდზე გატარებულ დროს დაითვლის. თუ საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ნებისმიერი ტიპის პროგრამის მონაწილეების გამოკითხვის ადმინისტრირება შესაძლებელია ტელეფონით ან ელ. ფოსტით.*

მონაწილეების კმაყოფილება

მონაწილეობის პროგრამაში მონაწილეთა ჩართულობის კმაყოფილების გაზომვა უნდა იყოს მთავარი საკითხი ნებისმიერი ზეგავლენის შეფასებისას და საბედნიეროდ, ამის განსახორციელება საკმაოდ იოლია. მონაწილეების კმაყოფილების მნიშვნელობა არ უნდა დაკნინდეს. ამ ინფორმაციის ქონა საზოგადოებრივ მენეჯერებს შესაძლებლობას აძლევს შეაფასონ, მომხმარებლებს უკეთესად როგორ უნდა მოემსახურონ მონაწილეობითი პროგრამის გაუმჯობესებით. მონაწილეთა კმაყოფილების შესახებ ინფორმაცია საშუალებას აძლევს მენეჯერებს, გაუმკლავდნენ კონკრეტულ პრობლემებს; მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება პროგრამაში და განსაზღვრონ, თუ რა ცვლილებებია საჭირო. უფრო მეტიც, ყველა უწყება მთავრობის საქმიანობისა და შედეგების აქტით ვალდებულია შეაფასოს მომხმარებელთა კმაყოფილება და განახორციელოს ცვლილებები მომსახურების გასაუმჯობესებლად და კმაყოფილების გასაზრდელად.

შეგვიძლია, ვუპასუხოთ მონაწილეთა კმაყოფილების რამდენიმე ასპექტს. ყველაზე ხშირად ეს მოიცავს კმაყოფილებას:

- გამოყენებული მონაწილეობის პროცესით (ებით);
- შედეგებით;
- ნეიტრალური მხარეებით ან ფასილიტატორებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მოწოდებული ინფორმაციით;
- დისკუსიებით პროგრამის ამოქმედების დროს.

მენეჯერებმა შემფასებლებთან ერთად უნდა იმუშაონ, რათა გაარკვიონ მონაწილეთა კმაყოფილების ამ (ან სხვა) სფეროებიდან რომელია ყველაზე რელევანტური და სასარგებლო ზეგავლენის შეფასებისთვის.

რჩევა: *გამოიყენეთ გამოკითხვა ლიკერტის შკალის[5] შეკითხვების მაგალითის მიხედვით, რომ შეაგროვოთ ინფორმაცია მონაწილეთა კმაყოფილებაზე. მიმართეთ მაგალითს ჩანართიდან ,,მონაწილის კმაყოფილების კითხვარის ნიმუში'', რათა ნახოთ ერთი შესაძლო რელევანტური გამოკითხვის ფორმატი და კითხვები.*

ცხრილი #12 მონაწილის კმაყოფილების კითხვარის ნიმუში

მონაწილის კმაყოფილების კითხვარის ნიმუში

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კითხვა, რომლებიც შეიძლება რელევანტური იყოს პროგრამაში მონაწილის კმაყოფილების შესაფასებლად. პროგრამის მენეჯერმა და შემფასებელმა უნდა გადაწყვიტოთ ამ კითხვათაგან რომელია შეფასებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი; ასევე, შეფასების კიდევ რა კითხვები შეიძლება დაისვას.

მიმართულება: გთხოვთ მიუთითეთ, ქვემოთ მოცემულთაგან რომლით, რამდენად კმაყოფილი ხართ?

	ძალიან კმაყოფილი	კმაყოფილი	ნეიტრალური	უკმაყოფილო	ძალიან უკმაყოფილო
პროცესით კმაყოფილება					
რამდენად კმაყოფილი ხართ?					
მონაწილეობის პროცესის სამართლიანობით					
შესაძლებლობით რომ მონაწილეობა მიგეღოთ					
საკითხებით, რომელსაც პროცესმა უპასუხა					
პროცესის შესაფერისობა/საჭიროება საკითხის საპასუხოდ					
პროცესში ხალხის მრავალფეროვნებით					
პროცესში შეხედულებებისა და აზრების მრავალფეროვნებით					
შედეგებით კმაყოფილება					
რამდენად კმაყოფილი ხართ?					
შედეგების სამართლიანობით					
შედეგებში თქვენი წვლილით					
შედეგებზე ქვენი ზეგავლენის დონით					
ხარისხით, რომლითაც შედეგები ფართო საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენს					

[5] ლიკერტის შკალის შესახებ დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ: http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf

ნეიტრალური მხარეებით/ფასილიტატორებით კმაყოფილება					
რამდენად კმაყოფილი ხართ?					
ფასილიტატორის მოქმედებებით					
ფასილიტატორის ნეიტრალურობით [ობიექტურობით]					
ფასილიტატორის სამართლიანობით					
იმით, თუ როგორ გექცეოდათ ფასილიტატორი					
იმით, თუ როგორ ექცეოდა სხვებს					
მოწოდებული ინფორმაციით კმაყოფილება					
რამდენად კმაყოფილი ხართ?					
ინფორმაციით, რომელიც პროცესის დროს მოგეწოდათ					
თქვენთვის მოწოდებული ინ-ფორმაციის ხარისხით, რო-მელმაც თქვენს მიერ პრო-ცესის გაგება განაპირობა					
თქვენთვის მოწოდებული ინ-ფორმაციის ხარისხით, რო-მელმაც პროცესისთვის თქვე-ნი მომზადება განაპირობა					
თქვენთვის მოწოდებული ინ-ფორმაციის ხარისხით, რო-მელმაც პროცესისთვის სხვე-ბის მომზადება განაპირობა					
დისკუსიებით კმაყოფილება					
რამდენად კმაყოფილი ხართ?					
დისკუსიების ხარისხით					
დისკუსიების თავაზიანობით					
იმით, თუ როგორც გექცეო-დნენ დისკუსიების დროს					
ხალხის მიერ განსხვავებული აზრების მოსმენის ხარისხით					
დისკუსიების ღიაობის, პატი-ოსნებისა და გაგების ხა-რისხით					

ძირითადი შედეგები

რამდენიმე მკვლევარმა და ადვოკატირების ჯგუფმა მოქალაქის პირდაპირი მონაწილეობისა და აქტიური მონაწილეობის მრავალი პოტენციური შედეგის იდენტიფიცირება მოახდინა საჯარო მმართველობისთვის. ზოგადად, ეს პოტენციური შედეგები მოიცავს გავლენას:

- ინდივიდუალურად მოქალაქეებზე;
- საზოგადოებებზ;
- მთავრობაზე;
- საჯარო პოლიტიკასა ან საჯარო ქმედებაზე,

აღსანიშნავია, რომ ამ შედეგებისა და ზემოქმედების გამოვლინება შეიძლება მოხდეს მონაწილეობის შემდეგ სხვადასხვა დროს. მაგალითად, მონაწილეებზე გავლენა აშკარაა უკვე მონაწილეობისთანავე, მაშინ, როდესაც საზოგადოების ან პოლიტიკის ქმედებებზე გავლენა შეიძლება თვეების ან წლების შემდეგ დაფიქსირდეს. უფრო მეტიც, სხვადასხვა ზეგავლენის არსებობის მტკიცება შეიძლება მნიშვნელოვანი და განსხვავებული იყოს სხვადასხვა აუდიტორიისათვის თუ სხვადასხვა მიზეზის გამო. მენეჯერებმა და შემფასებლებმა უნდა იმუშაონ ერთად, რათა დადგინდეს ამ მონაწილეობის განსხვავებული ზეგავლენისა და შედეგების მნიშვნელობა, შესაბამისობა და მიზანშეწონილობა.

- **ზეგავლენა მოქალაქეებზე:** არიან თუ არა მონაწილეები უკეთ ინფორმირებული იმ საკითხების შესახებ, რომელსაც მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ უპასუხა; გაზარდა თუ არა მონაწილეობამ მონაწილეების აღქმა პოლიტიკურ ეფექტურობაზე, მოწესრიგებულობაზე, ინტერესზე, ნდობაზე, პატივისცემაზე, თანაგრძნობასა და საზოგადოების განწყობაზე; დაეხმარა თუ არა მონაწილეობითი ბიუჯეტირება ცალკეულ პირებს საბიუჯეტო პროცესში მეტად ჩართულობის და თავიანთი იდეების სრულყოფილად წარდგენის შესაძლებლობებში; დაეხმარა თუ არა მონაწილეობა მოქალაქეებს ჩამოაყალიბონ, გაიგონ და დახვეწონ თავიანთი პრეფერენციები და პოზიციები სხვადასხვა საკითხების მიმართ; შეცვალა თუ არა მონაწილეობამ ადამიანების შეხედულება სხვადასხვა საკითხებზე; დაეხმარა თუ არა მონაწილეობა ადამიანებს აიღონ მეტი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და კოლექტიურ პრობლემებზე; გაზარდა თუ არა მონაწილეობამ იმის ალბათობა, რომ ინდივიდები მონაწილეობას მიიღებენ მომავალ აქტივობებშიც.

რჩევა: *ინდივიდებში ცვლილებების გაზომვის საუკეთესო საშუალებაა წინასწარი და შედეგების შემაჯამებელი გამოკითხვები; და/ან ექსპერიმენტული საკონტროლო ან შედარებითი ჯგუფების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუკი ეს განუხორციელებელი ან შეუძლებელია, მონაწილეებს შეიძლება ჩაუტარდეთ გამოკითხვა, რომელიც მარტივად მოითხოვს ადამიანებისგან, რომ თავად შეაფასონ პროგრამის ზეგავლენა მათზე. მაგალითად, არიან თუ არა ისინი მეტად ინფორმირებული, ეფექტური, სანდო, ემპათიური და სხვა და/ან აღიქვამენ თუ არა ისინი, რომ მონაწილეობის პროგრამა მათ დაეხმარა გაითვალისწინონ საზოგადოების ან კოლექტიური პრობლემები უკეთ და გაიზარდოს ალბათობა იმისა, რომ ისინი მომავალ საქმიანობებშიც მიიღებენ მონაწილეობას. თუკი თვითშეფასების მონაცემები*

გამოიყენება, მენეჯერებმა და შემფასებლებმა უნდა გაითვალისწინონ სოციალური მიზანშეწონილობის მიკერძოებულობის ალბათობაც - იმის ზედმეტად წარმოჩენის ტენდენცია, თუ რა კარგ უნარებს ფლობენ ისინი; ან ფლობენ ისეთ უნარებს, რომლებიც სხვების მიერაა სასურველადა მიჩნეული.

- **ზეგავლენა მუნიციპალიტეტზე:** გამოავლინა თუ არა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამამ საზოგადოებრივი ინტერესები, შეხედულებები და პრეფერენციები; წარმოაჩინა თუ არა მან სუსტი პოლიტიკური ჯგუფები; დაამყარა თუ არა ნდობა და თანამშრომლობა დაინტერესებულ ჯგუფებთან; გაზარდა თუ არა ანგარიშვალდებულება მოქალაქეების წინაშე; გაზარდა თუ არა გადაწყვეტილების ან ქმედების ლეგიტიმურობა; გაზარდა თუ არა კონსენსუსი; შეამცირა თუ არა კონფლიქტი? იმოქმედა თუ არა პოლარიზაციაზე.

რჩევა: *მუნიციპალიტეტისთვის მოტანილი სარგებლის შესაფასებლად განიხილეთ იმ რაოდენობრივი მონაცემების გამოყენება, რომელიც შეგროვდა ფოკუს ჯგუფებისგან ან სხვა აუდიტორიისგან ინტერვიუების მეშვეობით; ინტერვიუები რელევანტურ თანამშრომლებთან, დაინტერესებულ მხარეებთან ან თუნდაც მონაწილეებთან. დღესდღეობით არ არსებობს შეთანხმებული რაოდენობრივი საშულებები და მეთოდები უწყების ზეგავლენის შესაფასებლად. თუმცა, რაოდენობრივ მონაცემებს შეუძლია წარმოადგინოს მოსაზრება ამ ტიპის ზეგავლენისა და გაუმჯობესების შემოთავაზებულ გზებზე. მართალია შემთხვევითი მტკიცებულება ყოველთვის სასურველი არ არის, მაგრამ მისი სარგებლიანობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს მაშინ, როცა მონაცემები შეგროვებულია სტრუქტურული შეფასების დიზაინით ან კვლევის სისტემატიზებული მეთოდების გამოყენებით.*

- **ზეგავლენა საზოგადოებებზე:** აყალიბებს თუ არა მონაწილეობა სანდო და თანამშრომლობით ურთიერთობებს დაინტერესებულ ჯგუფებს შორის? გაზარდა თუ არა მონაწილეობამ მიმდინარე და სამომავლო საკითხების მოგვარებაზე საზოგადოების ზემოქმედების შესაძლებლობები; აღმოაჩინა და უპასუხა თუ არა მონაწილეობამ საზოგადოების შეხედულებებს, საჭიროებებსა და ინტერესებს.

რჩევა: *განიხილეთ საზოგადოების შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო მონაწილეობის პროგრამის საზოგადოებაზე ზეგავლენის შესაფასებლად. საზოგადოების შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო განსაზღვრავს საზოგადოების შესაძლებლობების ოთხ ძირითად მახასიათებელს: 1.საზოგადოების წევრთა განცდები და შეგრძნებები, 2.მისი წევრების საზოგადოებისადმი ერთგულება, 3.პრობლემების გადაჭრის უნარი. 4.რესურსებზე წვდომა. საზოგადოების შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო ასევე განსაზღვრავს საზოგადოების შესაძლებლობების განვითარების 4 სპეციფიკურ სტრატეგიას: 1.ხელმძღვანელობის განვითარება, 2.ორგანიზაციული განვითარება, 3.საზოგადოების ორგანიზება, 4.ორგანიზაციული თანამშრომლობა. საზოგადოების აბსტრაქტული კონცეფციის კიდევ უფრო ვიწრო კომპონენტებად დაშლამ და კონკრეტული სტრატეგიების იდენტიფიცირებამ შეიძლება კიდევ უფრო გაადვილოს მონაწილეობის პროგრამების საზოგადოებაზე ზეგავლენის შეფასება.*

- **ზეგავლენა პოლიტიკაზე ან საზოგადოებრივ საქმიანობაზე:** წარმოქმნა თუ არა მონაწილეობამ ,,უკეთესი'' გადაწყვეტილება; გააუმჯობესა თუ არა მან საბოლოო გადაწყვეტილების სამართლიანობა; იყო თუ არა გადაწყვეტილება მდგრადი დროთა განმავლობაში; გააუმჯობესა თუ არა მონაწილეობამ საზოგადოების ქმედების ეფექტურობა; გაამარტივა თუ არა მონაწილეობამ განხორციელება; შეამცირა თუ არა მონაწილეობამ კონკრეტული გადაწყვეტილებით ან პოლიტიკით პოტენციური სამომავლო საკითხების რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ზემოქმედების ეფექტურობის შეფასება საკმაოდ რუტინულია, მნიშვნელოვანი გამოწვევები წარმოჩინდება მონაწილეობის პროგრამების ინსტიტუტებსა და პოლიტიკის ცვლილებებზე ზეგავლენის შეფასებისას.

რჩევა: *განიხილეთ შემთხვევების შესწავლის ანალიზის ჩატარება, რაც, ალბათ, ყველაზე ხშირი მიდგომაა მონაწილეობის სავარჯიშოების პოლიტიკის გავლენის დასაფიქსირებლად. როგორც წესი, შემთხვევების შესწავლა ფოკუსირდება ერთი კონკრეტული მონაწილეობის პროცესზე და ეყრდნობა იმ რაოდენობრივ მონაცემებს, რაც მოგროვდა, მაგალითად, ფოკუს ჯგუფების ან ინტერვიუების გზით. ზოგიერთი შემთხვევის შესწავლა იყენებს ორი ან მეტი პროცესის შედარებას და ამ შერეულ თვისობრივ-რაოდენობრივ მონაცემებსა და ანალიზის მიდგომებს. შემთხვევების შესწავლას შეუძლია დაამყაროს ლოგიკური კავშირები მონაწილეობის პროგრამის შიდა მახასიათებლებსა და პოლიტიკის გავლენებს შორის; თუმცა, ხშირად, ეს დაფუძნებულია ძირითად კორელაციებზე და ,,უფრო მეტად ასოციაციებზე'' ვიდრე ფორმალურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე.*

პროცესზე ორიენტირებული შედეგები

კარგი მონაწილეობის პროცესის მრავალი კრიტერიუმია შემოთავაზებული, მათ შორის - სამართლიანობა, ლეგიტიმურობა, გამჭვირვალობა, ხილვადობა, ხელმისაწვდომობა, წარმომადგენლობითობა, ობიექტურობა, სანდოობა, ადეკვატურობა და სხვა. ნორმების სიმრავლე იმის შესახებ, თუ როგორია კარგი პროცესი, შეფასების კითხვების ჩამოყალიბებას უფრო რთულს ხდის. მეტიც, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, შედეგები განსხვავდება არა მხოლოდ გამოყენებული პროცესის მიხედვით, არამედ ასევე პროცესში ნაგულისხმევი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების განაწილების კუთხით. უწყვეტი სპექტრის თითოეული ეტაპის ზეგავლენისა და შედეგების მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ. ეს მაგალითები არ არის ყოვლისმომცველი და დამოკიდებულია თითოეულ გამოყენებულ პროცესზე. უფრო მეტიც, დისკუსიაში ზემოთ წარმოდგენილი რჩევები ასევე პასუხობს ამ (და სხვა) პროცესზე ორიენტირებული შედეგების შეფასებას; ამიტომ ისინი აქ აღარ მეორდება.

- **ინფორმირება:** მიიღეს თუ არა მონაწილეებმა იმ ტიპის დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაცია, რომელიც დაეხმარა მათ გაეგოთ პრობლემა, ალტერნატივა და გადაწყვეტის გზები? იყო თუ არა საზოგადოება საკმარისად ინფორმირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებისა და საჯარო ქმედების შესახებ?

- **კონსულტაცია:** უზრუნველყო თუ არა მონაწილეობამ საზოგადოებისთვის იმ საშუალების მიცემა, რომ მათ შეძლებოდათ ანალიტიკაზე, ალტერნატივებსა და პოლიტიკის ან საზოგადოებრივი ქმედების შესახებ გადაწყვეტილებებზე ადეკვატური გამოხმაურება? მოუსმინა და გაიაზრა თუ არა მუნიციპალიტეტმა საზოგადოების მოთხოვნილებები, ინტერესები, შეხედულებები და მისწრაფებები? მიაწოდა თუ არა უწყებამ საზოგადოებას ინფორმაცია მათი მონაწილეობის შედეგების შესახებ, თუ როგორ იმოქმედა მათმა მონაწილეობამ გადაწყვეტილებაზე?
- **ჩართულობა:** ესმოდა თუ არა მუნიციპალიტეტს ადეკვატურად საზოგადოების მოთხოვნილებები, ინტერესები, შეხედულებები და მისწრაფებები? სათანადოდ იქნა გათვალისწინებული უწყების გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მოთხოვნილებები, ინტერესები, შეხედულებები და მისწრაფებები თუ - არა? მიაწოდა თუ არა მუნიციპალიტეტის პროგრამის მართვის გუნდმა საზოგადოებას ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია მონაწილეობამ გადაწყვეტილებაზე?
- **თანამშრომლობა:** ჩართო თუ არა მუნიციპალიტეტმა საზოგადოება გადაწყვეტილების მიღების ყველა ასპექტში? ჰქონდა საზოგადოებას ალტერნატივების შემუშავების შესაძლებლობა? ჰქონდა საზოგადოებას იმის საშუალება, რომ ამოეცნო გადაწყვეტის სასურველი გზა? რამდენად იყო საბოლოო გადაწყვეტილებაში/ქმედებაში წარმოდგენილი ალტერნატივები და რეკომენდაციები?
- **გაძლიერება:** იყო თუ არა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების ხელში? რა ზომით განხორციელდა მონაწილეობითი გადაწყვეტილებები?

პროგრამის სპეციალური მახასიათებლები

როგორც ეს პროცესის შეფასების ჩარჩოში აღინიშნა, პროგრამის მართვის გუნდს და შემფასებლებს შეიძლება სურდეთ შეისწავლონ მონაწილეობითი პროგრამის უნიკალური და სპეციფიკური მახასიათებლები. ეს უნიკალური მახასიათებლები შეიძლება გულისხმობდეს პროგრამის დიზაინს, პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პერსონალს, ადმინისტრირებას, უწყების მხარდაჭერას და სხვა.

რჩევა: *ესაუბრეთ პროგრამის პერსონალს და დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის იმ კონკრეტული მახასიათებლების დასადგენად, რომელიც საინტერესოა ზეგავლენის შეფასების მიზნებისთვის.*

ინტერვენციის ღონისძიებები

ზაგავლენის შეფასების ჩატარებისას უაღრესად მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ინტერვენციის ღონისძიებები. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამები მოქმედებს მუდმივად ცვალებად გარემოში და შეიძლება ინტერვენციის ღონისძიებებმა გავლენა მოახდენონ მონაწილეობითი პროგრამის გავლენასა და შედეგებზე. მსგავსი პოტენციური ინტერვენციის ღონისძიებები მრავალრიცხოვანი, რთული და ცვალებადია და შესაძლებელია ისინი იყვნენ, ან არ იყვნენ კონტროლირებადი ან აღმოფხვრადი.

რჩევა: *იმუშავეთ შემფასებელთან, რათა დაადგინოთ ღონისძიებები, რომლებმაც, შესაძლოა, ზემოქმედება იქონია პროგრამაზე ან შეფასების შედეგებზე მათი ზემოქმედების შემსუბუქების გზებზე.*

შევაჯამება: ზეგავლენის შეფასების ძირითადი ამოცანა და მიზანი არის გაარკვიოს, მიაღწია თუ არა პროგრამამ თავის მიზანს და წარმოქმნა თუ არა სასურველი შედეგი. ზეგავლენის შეფასება შეიძლება გახდეს სასარგებლო მენეჯერული ხელსაწყო, რომელიც მონაწილეობის პროგრამას რამდენიმე მიმართულებით დაეხმარება. ზემოთ განხილული ზეგავლენის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი და რთული გასაანალიზებელია. ამისთვის შემოთავაზებულია სპეციფიკური კითხვები და ინდიკატორები. ასევე დასაშვებია სხვა დამატებითი კითხვებიც და ისინი უნდა შეირჩეს იმის მიხედვით, თუ როგორ შეუწყობს ის ხელს საჯარო მმართველობაში მოქალაქის ჩართვის ზეგავლენის შეფასებას. მონაწილეების კმაყოფილების, ზოგადი შედეგების, პროცესზე ორიენტირებული შედეგების, პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლებისა და ინტერვენციის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებით პროგრამის მართვის გუნდის წევრმა უნდა შეძლოს, რომ გაარკვიოს და გამოავლინოს შედეგის ინდიკატორებში არსებული ცვლილებების მასშტაბი, რაც გამოწვეულია პროგრამის საქმიანობებით. მან ასევე, უნდა შეეძლოს განახორციელოს ცვლილებები და მიიღოს სხვა საჭირო გადაწყვეტილებები. დანართი 1 იძლევა სამუშაო ფურცლებს იმ მენეჯერებისთვის, ვისაც სურს მონაწილეობის პროგრამის ზეგავლენის შეფასების ჩატარება (და/ან პროცესის შეფასება).

დანართი 1: შეფასების სამუშაო ფურცლები

დანართი 1 - თანდართული სამუშაო ფურცლები შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს მენეჯერებს გადადგან საწყისი ნაბიჯები მათი მონაწილეობითი პროგრამის პროცესის ან ზეგავლენის შესაფასებლად. ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი მასალა მიღებულია წყაროდან, რომლებიც გვთავაზობენ დეტალურ სამუშაო წიგნს პროცესის შეფასების შემუშავებისთვის. ქვემოთ მოყვანილი ხუთი ნაბიჯის შესრულება პროგრამის მართვის გუნდს დაეხმარება დაავიწროვოს პროგრამის შეფასების ელემენტები, შეიმუშაოს შეფასების ძირითადი კითხვები და გადაწყვიტოს შიდა თუ გარე შემფასებლის გამოყენების საკითხი.

ნაბიჯი ერთი: განსაზღვრეთ პროგრამის რელევანტური კომპონენტები

პროგრამის მართვის გუნდს შეუძლია დაიწყოს შეფასების შემუშავება პროგრამის იმ შესაბამისი კომპონენტების იდენტიფიცირებით, რომლებიც უნდა შემოწმდეს. ამისათვის, მენეჯერებმა უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს: ,,ვინ“, ,,რა“, ,,როდის“, ,,სად“ და ,,როგორ“, რადგან ისინი ეხება მათი მონაწილეობის პროცესს. შეავსეთ ქვემოთ მოცემული სამუშაო ფურცელი, რათა განსაზღვროთ თქვენი მონაწილეობითი პროგრამის კომპონენტები.

ცხრილი #13 სამუშაო ფურცელი A

სამუშაო ფურცელი A: რა არის თქვენი პროგრამის კომპონენტები?	
ვინ: პროგრამის მონაწილეები, დაინტერესებული მხარეები და პროგრამის პერსონალი	
რა: მონაწილეობის პროცესის მიზანი და ამოცანა	
როდის: მონაწილეობის პროცესის სიხშირე და ხანგრძლივობა	
სად: მონაწილეობის პროცესის კონტექსტი და პარამეტრები	
როგორ: მონაწილეობის პროცესში გამოყენებული ტექნიკები, სტრატეგიები და/ან მეთოდები	

ნაბიჯი ორი: მოხაზეთ შეფასებისთვის საინტერესო შეკითხვები

პროგრამის მართვის გუნდს დასჭირდება გადაწყვეტილებების მიღება ისეთ საკითხებზე, რომელთა შეტანაც სურთ შეფასებაში. კითხვების დაკონკრეტება არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი იმ მეთოდების განსაზღვრისას, რომლებიც იქნება გამოყენებული მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების ეტაპზე. ამ ძალისხმევის ხელშესაწყობად განიხილეთ პროცესის შეფასების ექვსი ფართო სფერო (პროგრამის სტრუქტურა, სერვისის მიწოდება, ზოგადი შედეგები, პროცესზე ორიენტირებული შედეგები, პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლები და ინტერვენციის ღონისძიებები) და ზემოქმედების შეფასების ექვსი ფართო სფერო (ეფექტურობა, მონაწილეთა კმაყოფილება, ზოგადი შედეგები, პროცესზე ორიენტირებული შედეგები, პროგრამის კონკრეტული მახასიათებლები და ინტერვენციის ღონისძიებები). სამუშაო ფურცელში შეადგინეთ კითხვების სია, რომლებიც შეფასების მიზნებისათვის სარგებლის მომტანი და საინტერესო იქნება და დაამატეთ ის კითხვები, რომლებიც არ არის მოცემული ამ ანგარიშის პროცესისა და ზეგავლენის შეფასებაში.

ცხრილი # 14 სამუშაო ფურცელი B

სამუშაო ფურცელი: შეფასების რომელი კითხვებია საინტერესო?	
პროცესის შეფასების არეალები	**საინტერესო კითხვები**
პროგრამის სტრუქტურა	
სერვისის მიწოდება	
ზოგადი შედეგები	
პროცესზე ორიენტირებული შედეგები	
პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლები	
ინტერვენციის ღონისძიებები	
ზეგავლენის შეფასების არეალები	**საინტერესო კითხვები**
ეფექტურობა	
მონაწილეთა კმაყოფილება	
ზოგადი შედეგები	
პროცესზე ორიენტირებული შედეგები	
პროგრამის სპეიფიკური მახასიათებლები	
ინტერვენციის ღონისძიებები	

ნაბიჯი სამი: შეამოწმეთ თქვენ მიერ მოხაზული შეფასების შეკითხვების მნიშვნელობა

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეკითხვის იდენტიფიცირება შესაძლებელია, პროგრამის მართვის გუნდმა უნდა გაითვალისწინოს დრო, ბიუჯეტი, რესურსები და სხვა საკითხები; ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეფასების თითოეული მოხაზული შეკითხვის მნიშვნელობასა და მიზნის დადასტურებას. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ინსტრუმენტს იმის განსასაზღვრად, არის თუ არა შეფასების ყოველი მოხაზული შეკითხვა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ის მოხდეს შეფასებაში. გაეცანით თითოეულ შეკითხვას მოცემული კითხვარის ცხრილში. შეკითხვების ვარგისიანობა გამოყენებადობისა და აქტუალობის (საზოგადოების ინტერესების მიხედვით) შეაფასეთ ,,დიახ" და ,,არა" შეფასებების საშუალებით. განიხილეთ იმ შეკითხვების კითხვარში დატოვება-არდატოვების საკითხი რომლებმაც შეფასება ,,არა" დაიმსახურა.

ცხრილი # 15 შეფასების კითხვის მნიშვნელობის განსაზღვრა

მოხაზული შეფასების კითხვის მნიშვნელობის განსაზღვრა		
ვარგისიანობის შეკითხვა	**დიახ**	**არა**
გამოვიყენებ თუ არა იმ მონაცემებს, რაც ამ კითხვიდან გამომდინარეობს?		
ვიცი თუ არა, რატომ არის ეს კითხვა მნიშვნელოვანი და/ან ღირებული?		
არის თუ არა ვინმე დაინტერესებული ამ კითხვით?		
არის თუ არა ეს კითხვა საკმარისად გასაგები და ცალსახა?		
მაქვს თუ არა ჰიპოთეზა ამ კითხვის ,,სწორ'' პასუხზე?		
არის თუ არა ეს კითხვა კონკრეტული შეფასების არეალის შემჭიდროების ან კონკრეტული მიმართების გარეშე?		
პროგნოზირებადია თუ არა ამ კითხვაზე პასუხი, იმის გათვალისწინებით, თუ რა ვიცი მე ამ შეფასების ხელმისაწვდომ რესურსებზე?		
ღირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა?		

ნაბიჯი ოთხი:

განსაზღვრეთ მონაცემების პოტენციური წყაროები და მონაცემთა შეგროვების მექანიზმები

ახლა, როდესაც თქვენ გაქვთ შეფასების კითხვების სია, განსაზღვრეთ მონაცემთა პოტენციური წყაროები და მონაცემთა შეგროვების მექანიზმები. შეავსეთ ქვემოთ მოცემული სამუშაო ფურცელი C თითოეული შეფასების კითხვის ჩამოთვლით და გააკეთეთ ჩანაწერი იმის შესახებ, თუ საიდან შეიძლება მივიღოთ ამ კითხვაზე გაცემისთვის საჭირო ინფორმაცია და როგორ უნდა შეგროვდეს მონაცემები (მაგალითად: გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, საარქივო ინფორმაცია, მართვის საინფორმაციო სისტემები; იხილეთ რჩევები ამ ანგარიშის ჩარჩოს ყველა მონაკვეთში). საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ფურცელზე დაამატეთ რიგები.

ცხრილი # 16 სამუშაო ფურცელი C

სამუშაო ფურცელი C: მონაცემების პოტენციური წყაროებისა და მონაცემთა შეგროვების მექანიზმების იდენტიფიცირება		
შეფასების კითხვა	**მონაცემების პოტენციური წყარო (ები)**	**მონაცემთა შეგროვების პოტენციური მექანიზმი (ები)**

ნაბიჯი ხუთი: შეაფასეთ შიდა შესაძლებლობა/უნარი რომ შეაგროვოთ, გააანალიზოთ და ანგარიშში მოაქციოთ სასურველი ინფორმაცია

გადახედეთ თქვენი შეკითხვების სიას, მონაცემთა წყაროებს და მონაცემთა შეგროვების მექანიზმებს სამუშაო ფურცელზე C. ამ ინფორმაციის გათვალისწინებით დასვით და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- აქვს თუ არა პროგრამის ერთ ან მეტ თანამშრომელს ამ მონაცემების შეგროვების ცოდნა, უნარები და დრო?
- აქვს თუ არა პროგრამის ერთ ან მეტ თანამშრომელს ცოდნა, უნარები და დრო ამ მონაცემების გასაანალიზებლად?
- აქვს თუ არა პროგრამის ერთ ან მეტ თანამშრომელს ცოდნა, უნარები და დრო, რომ დაწეროს შედეგები და შემდეგ შეატყობინოს საზოგადოებას?
- თუ ამას პროგრამას ერთი ან მეტი თანამშრომელი ჩაატარებს, ჩათვლის კი შეფასების ამ შედეგებს გარე აუდიტორია ობიექტურ და მიუკერძოებელ ნაშრომად?

თუ რომელიმე ამ კითხვაზე პასუხი არის „არა“, განიხილეთ ერთი ან რამდენიმე (ან სხვა) შეფასების ამოცანების აუთსორსინგი.

2.2 შეფასება - მიდგომა II

შეფასება ასევე შეიძლება ჩატარდეს შემდეგი მიდგომის გამოყენებით: აღნიშნული მიდგომით, შეფასების ეტაპი შედგება სამი ნაწილისგან.

ყოვლისმომცველი კითხვები

ეს არის ე.წ. „ფართო სურათის“ კითხვები, რომლებიც შესაბამის პირებს ეხმარება ფართო თვალთახედვიდან დაინახონ თავიანთი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი. ეს კითხვები უნდა იყოს განხილული/გაანალიზებული როგორც შეფასების პროცესის დაწყებისას (რაც დაგეხმარებათ იმის გააზრებაში, თუ რისი მიღწევა გსურთ) და ასევე დასრულებისას (რაც იძლევა შესაძლებლობას გაიზომოს გავლენა).

გამოწვევის კითხვები/საკონტროლო კითხვები

თითოეული კითხვა შემუშავებულია იმგვარად, რომ დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის თითოეული ასპექტის უკეთესი აღქმა.

ეს კითხვები ეხმარება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ორგანიზატორებს შეაგროვონ მონაცემები ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სამი წამყვანი განზომილებისთვის: დაგეგმვა, პროცესი და გავლენა. თითოეულ შეკითხვასთან ერთად წარმოდგენილია იმის მოკლე აღწერა, თუ რა უნდა იქნას გაგებული და შესწავლილი ამ კითხვებზე პასუხის გაცემით, ასევე შეთავაზებულია მტკიცებულებები, რომელიც დაგვეხმარება დასკვნების გამყარებაში.

ეს კითხვები დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარება შეფასების პროცესში, თუმცა, კითხვების მოცემულ სიას შეიძლება სხვებიც დაემატოს.

გაუმჯობესების გეგმა



ბოლო ნაწილი უნდა შეივსოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების შეფასების დასრულებისას. ის შემუშავებულია იმ-ისთვის, რომ ნათელი იყოს, თუ სად, და რა ნაწილში უნდა მოხდეს გაუმჯობესება. ეს ნაწილი იძლევა შესაძლებლობას სისტემატურად აღიბეჭდოს წამყვანი, მთავარი პუნქტები (key points) და როგორ, ვინ და როდის უნდა მოაგვაროს ისინი, შემდგომი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შესრულებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად.

ცხრილი #17 ყოვლისმომცველი კითხვები

რისი მიღწევა გვინდა?
ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რა დამატებითი ღირებულება აქვს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს. ✓ რა გავლენა აქვს მონაწილეობით ბიუჯეტირებას იმ ადამიანების ცხოვრებაზე, ვისაც ის ეხება? ✓ რა გავლენა აქვს მონაწილეობით ბიუჯეტირებას საზოგადოების ნაწილზე/მოსახლეობის ჯგუფზე? ✓ შეცვალა თუ არა მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ ორგანიზაციის მუშაობისა და ქცევის წესი?

ცხრილი # 18 გამოწვევის კითხვები/საკონტროლო კითხვები

რამდენად ეფექტიანია ჩვენი ხელმძღვანელობა და მმართველობა?			
გამოწვევის კითხვა/ საკონტროლო კითხვა	**აღწერა**	**მტკიცებულება**	**ინდიკატორი**
რამდენად კარგად არის მონაწილეობით ბიუჯეტირების შესაბამისი სტრატეგიული მიმართულება ჩამოყალიბებული?	მიუთითებს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირება ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვის შემადგენელი ნაწილია.	პოლიტიკის დოკუმენტი	მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესახებ ჩანაწერი ასახულია პოლიტიკის დოკუმენტებში: პრიორიტეტების დოკუმენტი, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.
სტრატეგიულ დაგეგმვაში მონაწილებითი ბიუჯეტირების გათვალისწინების პროცესში რამდენად არიან ჩართულნი პარტნიორები/საზოგადოებრივი ჯგუფები?	მიუთითებს ყველა რელევანტური დაინტერესებული პირის კონტრიბუციაზე და მხარდაჭერაზე, ასევე შეთანხმებაზე და ერთობლივი შედეგების მიღწევაზე.	კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან, ან/და მონაწილეობის ბიზნეს-გეგმა	პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების ეტაპზე ჩატარებულია შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ჩატარებულია მინიმუმ 5 შეხვედრა.
რამდენად კარგად შეგვიძლია მონაწილეობითი ბიუჯეტირებისადმი სტრატეგიული ვალდებულების დემონსტრირება?	მიუთითებს, რომ მოხდა რელევანტური და შესაბამისი რესურსების გამოყენება მონაწილეობითი ბიუჯეტირების წარმატების უზრუნველსაყოფად.	რესურსების განაწილება, მათ შორის ბიუჯეტის და კადრებით დაკომპლექტების ჩათვლით, სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში	მონაწილეობით ბიუჯეტირებაზე მიმართულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების არანაკლებ 1 პროცენტი

რამდენად ეფექტიანად ხორციელდება წამყვანი პროცესების შესრულება?			
რამდენად ეფექტიანად განხორციელდა მონაწილეობის გაზრდა და პროცესში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა?			
გამოწვევის კითხვა/ საკონტროლო კითხვა	**აღწერა**	**მტკიცებულება**	**ინდიკატორი**
შესაბამისი უფლების მქონე რამდენმა მაცხოვრებელმა მიიღო მონაწილეობა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში?	მიუთითებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მისაწვდომობაზე, წარმომადგენლობითობაზე და მიზნობრივი მონაწილეების პროცესში ჩართვის უნარზე.	მონაწილეთა კითხვარები	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (16 წლის და ზემოთ) არანაკლებ 35 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა;
როგორია იმ მაცხოვრებლების წარმომადგენლობა, ვინც ჩაერთო მონაწილეობით ბიუჯეტირებაში?	მიუთითებს მონაწილეების სოციო-დემოგრაფიულ სურათზე. წარმოადგენს საბაზისო ხაზს, რომლის გთვალისწინებითაც შესაძლებელია კონკრეტული ჯგუფებების ჩართულობის გაზომვა.	მონაწილეთა კითხვარები	• მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების (16 წლის და ზემოთ) არანაკლებ 35 პროცენტი იყო ჩართული; • მუნიციპალიტეტში მცხოვრები სპეციალური საჭიროების მქონე პირების არანაკლებ 35 პროცენტი იყო ჩართული; • მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების არანაკლებ 35 პროცენტი იყო ჩართული; • მუნიციპალიტეტში მცხოვრები საპენსიო ასაკის მოსახლეობის არანაკლებ 35 პროცენტი იყო ჩართული.
მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულ რამდენ ამომრჩეველს აქვს უფლება მისცეს ხმა ამომრჩეველთა სიის მიხედვით, მაგრამ არ მიუცია ხმა ადგილობრივი ხელისუფლების ბოლო არჩევნებში?	მიუთითებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში იმ მაცხოვრებლების მონაწილეობის პოტენციალზე, ვისაც არ აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს წამყვან პოლიტიკურ პროცესში.	• მონაწილეთა კითხვარები • ამომრჩეველთა სია	იმ ამომრჩეველთა რაოდენობის არანაკლებ 35 პროცენტი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების ბოლო არჩევნებში,
მონაწილეობით ბიუჯეტირებაში მონაწილე რამდენ ამომრჩეველს არ აქვს უფლება ხმა მისცეს ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში?	მიუთითებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში იმ მაცხოვრებლების ჩართულობის პოტენციალზე, ვინც ასაკის, საიმიგრაციო სტატუსისა ან სხვა მიზეზების გამო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას მოკლებულია.	მონაწილეთა კითხვარები	იმ პირების რაოდენობის არანაკლებ 35 პროცენტი, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი ულება მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივი ხელისულების არჩევნებში,

რა ზომები იქნა მიღებული აღნიშნულ პროცესში იმ ადამიანების ჩასართავად, ვინც ამას ვერ ახერხებს, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გამო?	ასახავს იმ ასპექტებს, რომლებიც ზრდის და აუმჯობესებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობას.	• მონაწილეობითი ბიუჯეტირების ორგანიზატორების მონაცემები (მაგალითად: შესაფერისი ტრანსპორტი); • დამოკიდებულ პირებზე ზრუნვა (მაგალითად, ბავშვებზე ან ხანდაზმულებზე ზრუნვა); • პერსონალური დახმარება და ზრუნვა; • შესაფერისი და ხელმისაწვდომი ადგილები და შესაბამისი კვება; • თარჯიმნებზე წვდომა; • საკომუნიკაციო საშუალებები; • შესაბამის დროს ორგანიზებული შეხვედრები და ღონისძიებები; • სოციალურ მედიაზე, ვიდეო კონფერენციებზე და ონლაინ რესურსებზე ხელმისაწვდომობა; • ჯიბის ხარჯები.	• შეხვედრების შესაბამისი მონაწილეების (ვისაც აქვს ამის საჭიროება) 100 პროცენტი უზ-რუნველყოფილია ან შესაბა-მისი ტრანსპორტით ან ტრან-სპორტირების საფასურით; • შეხვედრების მონაწილეების არანაკლებ 90 პროცენტს აქვს თავისუფალი წვდომა ინტერ-ნეტ რესურსებზე; • შეხვედრების მონაწილეების (ვისაც არ აქვს წვდომა ინტერნეტ რესურსებზე) 100 პროცენტი უზრუნველყოფილია შესაბამისი საჭიროებებით; • შეხვედრების არანაკლებ 90 პროცენტი ორგანიზებული იყო მონაწილეთათვის მისაღებ დროს; • შეხვედრების არანაკლებ 90 პროცენტი ორგანიზებული იყო მონაწილეთათვის მისაღებ ადგილას; • შეხვედრების არანაკლებ 90 პროცენტი ორგანიზებული იყო მონაწილეთათვის მისაღებ ფორმატში; • შეხვედრის მონაწილეების 100 პროცენტი უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნით მ.შ. სურდო თარჯიმნით. (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
რამდენმა მონაწილემ განაცხადა, რომ არის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ახალი ან ძველი მონაწილე?	ზომავს როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში მონაწილეთა რიცხვის ზრდას, ან მათ შემცირებას; ამ პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.	მონაწილეთა კითხვარები	• ძველი მონაწილეების არანაკლებ 70 პროცენტია ჩართული; • ახალი მონაწილეების რაოდენობის წლიური ზრდის მაჩვენებელი შეადგენს არანაკლებ 10 პროცენტს;

მესამე სექტორის და საზოგადოებრივი ტიპის რამდენი ორგანიზაცია იყო ჩართული მონაწილეობით ბიუჯეტირებაში სტრატეგიულ დონეზე?	ასახავს იმ პროცენტულ ან აბსოლუტურ რაოდენობას, ანუ თუ როგორია მონაწილეობით ბიუჯეტირებაში მოხალისეობრივი და საზოგადოებრივი სექტორების ჩართულობა. ასევე წარმოადგენს აღნიშნული პროცესის განხორციელების ვარიაციის ინდიკატორს.	• ჩანაწერები სტრატეგიული შეხვედრებიდან; • სხვა სტრატეგიული აქტივობების ჩანაწერები; • ორგანიზაციის კითხვარები	• მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო საზოგადოებების არანაკლებ 30 პროცენტი ჩართულია მონაწილეობით ბიუჯეტირებაში.
რომელ ძირითად შედეგებს მივაღწიეთ?			
რამდენად ეფექტიანად განვავითარეთ საზოგადოების აღქმა რესურსების განაწილების საკითხზე?			
გამოწვევის კითხვა/ საკონტროლო კითხვა	**აღწერა**	**მტკიცებულება**	**ინდიკატორი**
როგორ განავითარეს საკუთარი ცოდნა რესურსების განაწილების საკითხზე მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულმა ადამიანებმა?	მიუთითებს, თუ როგორ დაეხმარა მონაწილეობითი ბიუჯეტირება მონაწილეებს გაიაზრონ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არსებული ფინანსური და სოციალური მდგომარეობა და გამოწვევები.	• მონაწილეთა კითხვარები; • ფოკუს ჯგუფები; • ქეისები.	• მონაწილეთა არანაკლებ 51 პროცენტს აქვს ინორმაცია არსებული რესურსების განაწილების შესახებ.
როგორ მოხდა მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის რესურსების განაწილება, პროექტის ტიპის მიხედვით? (მაგ., ახალგაზრდობა, ადრეული წლები და ა.შ.)	აღწერს, თუ როგორ მოხდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების სახსრების განაწილება პროექტების სხვადასხვა ტიპის მიხედვით. ასახავს რესურსების განაწილების სხვაობას ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიხედვით	გამოყოფილი სახსრების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც განაწილებულ იქნა წარმატებულ პროექტებზე, პროექტის ტიპის მიხედვით	რესურსების უმეტესი ნაწილი მიმართულია მუნიციპალიტეტისათვის საჭირო და პრიორიტეტული პროექტების დასაფინანსებლად.
შევძელით თუ ვერა შეგვემუშავებინა ეფექტური მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ხარჯვითი გადაწყვეტილებები ხდება უფრო სამართლიანი და უკეთესად ასახავს საზოგადოების საჭიროებებს?			
მონაწილეობითი ბიუჯეტირების რამდენი ახალი და გაგრძელებული	განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამებისა და შესაბამისი საქმიანობების	მონაწილეობითი ბიუჯეტირების აქტიური პროგრამების და საქმიანობების რაოდენობა (რაც წარმოდ-	მთლიანი პროგრამების რაოდენობიდან უმეტესი არის ახალი პროგრამა

პროგრამა და აქტივობა განხორციელდა, რამდენი შეწყდა მიმდინარე წელს?	გამოყენების ტენდენციების ცვლილებებს მუნიციპალიტეტის მუშაობაში დროის მოკლე ან ხანგრძლივ მონაკვეთში.	გენილია კატეგორიებად: პირველად განხორციელებული, გაგრძელებული, შეჩერებული).	
რა სახსრების განაწილება განხორციელდა მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის მიმდინარე წელს?	განსაზღვრავს ტენდენციებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამებისა და საქმიანობების დაფინანსების განაწილებისთვის, დროთა განმავლობაში.	გამოყოფილი ბიუჯეტი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებისა და საქმიანობების ფაქტობრივ ხარჯებთან შედარებით	• მონაწილეობითი ბიუჯეტირების ასიგნებების რაოდენობა შეადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების არანაკლებ 1 პროცენტს; • დაფინანსების წლიური ზრდა წინა წელთან შედარებით არის 0.1 პროცენტი.
პროექტის განხორციელების მაჩვენებელი და საბოლოო პროექტის ხარჯები დაგეგმილი ბიუჯეტის რა ნაწილს შეადგენს?	ასახავს დასრულებული, გამარჯვებული პროექტების რაოდენობას და პროცენტულ მაჩვენებელს, ასევე საერთო ხარჯების წილს დაგეგმილ ბიუჯეტში.	მონიტორინგის ღონისძიებები და ანგარიშები	ფაქტობრივი მაჩვენებელი შეადგენს გეგმიური მაჩვენებლის არანაკლებ 90 პროცენტს.
რა რაოდენობის დამატებითი სახსრების გამოყოფა მოხდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამებსა და საქმიანობებში ჩართულობის შედეგად პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების მიზნით?	განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოტენციალს, მოიძიოს საზოგადოებისთვის დამატებითი და ახალი სახსრები.	დაფინანსების რაოდენობა და წყარო	დამატებითი დაფინანსების მოცულობა შეადგენს პროექტის ღირებულების არანაკლებ 1 პროცენტს
რა თანხა დაიხარჯა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განხორციელებაზე?	ზომავს თუ რა თანხა დაიხარჯა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესზე და როგორია მისი შეფარდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებისთვის გამოყოფილ თანხასთან.	• მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემუშავებაზე, განხორციელებასა და შეფასებაზე გაწეული საერთო ხარჯები (მათ შორის კადრები, დრო, ადგილის ქირა, მხარდაჭერის ხარჯები და ა.შ.); • მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებზე საერთო ხარჯი	ადმინისტრირების, პროექტის განხორციელების ხარჯი შეადგენს პროექტზე გამოყოფილი ასიგნებების არაუმეტეს 10 პროცენტს

რამდენად ეფექტიანად ვახერხებთ მონაწილეობითი ბიუჯეტირების სტრატეგიულ დონეზე მხარდაჭერის უზრუნველყოფას?			
რამდენად ახერხებს ორგანიზაციის შიგნით უფროსი რგოლი მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვასა და წარმართვას?	გადაწყვეტილებათა მიღების პროცესები მხარს უჭერს მონაწილეობით ბიუჯეტირებას, ხსნის დაბრკოლებებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებისთვის.	• სტრატეგიული და ბიზნეს გეგმები; • გუნდური და ინდივიდუალური სამუშაო გეგმები; • ინტერვიუები.	ყველა შესაბამისი სამსახურის მენეჯმენტი ჩართულია მონაწილეობით ბიუჯეტირებაში.
რა დონეზეა ასახული მონაწილეობითი ბიუჯეტირების დაფინანსების მომავალი უზრუნველყოფის ვალდებულება?	იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესმა წინ წაიწიოს როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტირების საშუალებით გამოსაყოფი თანხის მხრივ, ისე მონაწილეობითი ბიუჯეტირების მომავალი პროცესების ხარჯების დასაფარად.	• მენეჯმენტის ანგარიშები; • შეხვედრების ჩანაწერები; • საჯარო განცხადებები; • ფინანსური მონიტორინგის ანგარიშები; • ბიუჯეტის განაწილება.	მონაწილეობითი ბიუჯეტირების დაფინანსება გათვალისწინებულია პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში, ასევე პროგრამული ბიუჯეტირების დანართში.
რამდენად საკმარისია დაგეგმვისა და შემუშავების დრო, რათა უზრუნველყოფილი იყოს იმ პერსონალის ტრენინგები და უნარების განვითარება, რომელიც პასუხისმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებაზე?	იმის იდენტიფიცირება, თავდაპირველლად და რეგულარულად რა დონეზე მოხდა ყველა მხარის ინფორმირება და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში მათი როლის მხარდაჭერა, განგრძობადი გაუმჯობესების მიზნით.	• სახელმძღვანელო ჩანაწერები; • კომუნიკაციები; • სასწავლო/ტრენინინგის ჟურნალები.	• მონაწილეობითი ბიუჯეტირების დაგეგმვისა და შემუშავების პერიოდი შეადგენს არანაკლებ 1 თვეს.
რამდენად ეფექტიანად მოიცვა მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ საზოგადოებრივი ჯგუფები და ორგანიზაციები?			
რამდენად ეფექტიანად განხორციელდა საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და იმპლიმენტაციის პროცესი, რამდენად კარგადაა ინფორმირებული საზოგადოება? მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის თაობაზე?	შეჯამება, თუ როგორ განხორციელდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი და უკუკავშირის შედეგად მიღებული რა ცვლილებები განხორციელდა და შემდეგ რა იქნა გაზიარებული.	• საკომუნიკაციო გეგმა; • პოსტერები; • პლაკატები, ბროშურები, საგაზეთო სტატიები; • მედიის/სოციალური მედიის სტატიები; • ტელე/რადიო რეკლამები.	• საკომუნიკაციო გეგმა შემუშავებულია; • სამოქალაქო ბიუჯეტირებაში ჩართული პირების არანაკლებ 90 პროცენტი სრულად იყო ინფორმირებული სამოქალაქო ბიუჯეტირების შესახებ; • ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებულია დეტალური ინფორმაცია;

			• ადგილობრივ ტელევიზიაში/რადიოში/გაზეთში მუდმივად ხდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
რამდენი საზოგადოებრივი ჯგუფი და ორგანიზაცია იქნა იდენტიფიცირებული და ჩართული მონაწილეობით ბიუჯეტირებაში?	იდენტიფიცირება და კონტაქტი ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან, შესაბამისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.	• ორგანიზაციებისა და ჯგუფების სია; • ჯგუფებთან კომუნიკაციის მონიტორინგი (ტელეფონი, ელ. ფოსტა, შეხვედრები, სოციალური მედია, წერილები და ა.შ.); • ჯგუფებისგან მიღებული კომუნიკაციის მონიტორინგი (ტელეფონი, ელ. ფოსტა, შეხვედრები, სოციალური მედია, წერილები და ა.შ.).	მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირებული საზოგადოებრივი ჯგუფების არანაკლებ 51 პროცენტი ჩართულია სამოქალაქო ბიუჯეტირებაში.
მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი ჯგუფებიდან და ორგანიზაციებიდან რამდენი ჩაერთო მონაწილეობით ბიუჯეტირებაში?	განსაზღვრავს იმას, თუ რა დონეზე მოხდა ახალი და არსებული ჯგუფების წახალისება მონაწილეობის მიღების თაობაზე. განსაზღვრავს იმას, თუ რა დონეზე ჩაერთნენ ორგანიზაციები აღნიშნულ პროცესში.	• საორგანიზაციო კითხვარები; • მონაწილეთა სია; • ფოკუსჯგუფები; • მონაწილეთა კითხვარები.	იდენტიფიცირების შედეგად მოხდა ახალი და არსებული ჯგუფების არანაკლებ 50 პროცენტის წახალისება მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის მიზნით.
რამდენად ეფექტიანად ხდება მონაწილეობით ბიუჯეტირებაში საზოგადოებრივი ჯგუფების, ორგანიზაციების ჩართვა, მხარდაჭერა და მონაწილეობის მისაღებად წახალისება?	თავდაპირველი და შემდგომი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ყველა მონაწილისთვის, მათ შორის, ბარიერების შემცირების მიზნით განხორციელებული ქმედებები.	გამოყენებული მეთოდოლოგიების სია (მაგ., საკონტაქტო პირის დანიშვნა, ტექნიკური დახმარების სამსახურის მოწყობა, სხვა აქტივობები)	შესაბამისი ჯგუფების კმაყოფილების დონე შეადგენს არანაკლებ 80 პროცენტს.

რამდენად ეფექტიანად გაზარდა მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ საჯარო ნდობა?			
რამდენი ახალი ან გაძლიერებული კავშირის დამყარება მოხდა მაცხოვრებლებს და ჯგუფებს შორის მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის შედეგად?	როგორ გააუმჯობესა მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობამ ორგანიზაციებისა და მონაწილეებს შორის კომუნიკაცია.	• ინტერვიუები; • ფოკუს ჯგუფები; • მოსახლეობის გამოკითხვა.	ჩართულობის მაჩვენებელი გაზრდილია არანაკლებ 10 პროცენტით.
რა დონემდეა შესაძლებელი საზოგადოებისთვის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დემონსტრირება?	იმის უზრუნველყოფა, რომ საზოგადოება ენდობა და ითვისებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს.	• ხარისხის კონტროლის პროცესი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; • დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ მონიტორინგის განხორციელება	• საზოგადოების ნდობის დონე შეადგენს არანაკლებ 90 პროცენტს; • გამჭვირვალობის ხარისხის დონე შეფასებულია არანაკლებ 90 პროცენტით; • ანგარიშვალდებულების დონე შეფასებულია არანაკლებ 90 პროცენტით.
რამდენად ეფექტიანად შეძლო მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ შესაძლებლობების გაძლიერება?			
რამდენადაა განაწილებული პასუხისმგებლობა მომსახურების მიწოდებაზე პროვაიდერებსა და/ან მაცხოვრებლებს შორის მონაწილეობით ბიუჯეტირებაში მონაწილეობის შედეგად?	განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად იზიარებენ ერთობლივ პასუხისმგებლობას მომსახურების პროვაიდერები და მაცხოვრებლები, ასევე რა დონეზეა გაუმჯობესებული ეფექტიანობა.	• მონაწილეთა კითხვარები; • პროვაიდერების ინტერვიუები.	• კმაყოფილების დონე მომსახურების მიმწოდებელ პროვაიდერებში არის არანაკლებ 70 პროცენტი; • კმაყოფილების დონე მაცხოვრებლებს შორის არის არანაკლებ 70 პროცენტი.
ორგანიზაციის თანამშრომლებიდან რამდენმა განივითარა ახალი უნარი, მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის შედეგად?	მონაწილეობითი ბიუჯეტირების გავლენის განსაზღვრა მომუშავე ძალის უნარების გაძლიერებაში.	• სამუშაო გამოკითხვები და ვორქშოპები; • ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი; • შესრულების მენეჯმენტი; • ჩართულ თანამშრომლებთან ინტერვიუები.	• მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართული თანამშრომლების არანაკლებ 70 პროცენტმა განივითარა ახალი უნარები; • მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართული თანამშრომლების არანაკლებ 90 პროცენტმა გაიარა შესაბამისი ტრენინგები და მონაწილეობა მიიღო ვორქშოპებში.

რამდენმა თანამშრომელმა შეცვალა თავისი სამუშაო პრაქტიკის რაიმე ასპექტი, მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის შედეგად?	განსაზღვრა იმისა, თუ რა გავლენა აქვს მონაწილეობით ბიუჯეტირებას თანამშრომლებს შორის, ასევე პარტნიორებთან და საზოგადოებებთან მუშაობის სტილზე.	• სამუშაო გამოკითხვები და ვორქშოპები; • ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი; • შესრულების მენეჯმენტი; • მომსახურების მიწოდებაზე დადებითი ცვლილებები; • მონაწილე თანამშრომლების ინტერვიუები.	მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართული თანამშრომლების არანაკლებ 50 პროცენტმა შეცვალა თავის სამუშაო პრაქტიკაში სულ მცირე 1 პრაქტიკული ასპექტი.
მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის შედეგად, რამდენმა თანამშრომელმა დაამყარა ახალი სამუშაო ურთიერთობები და პარტნიორობა?	განსაზღვრა იმისა, თუ რა გავლენა აქვს მონაწილეობით ბიუჯეტირებას თანამშრომლებს შორის, ასევე პარტნიორებთან და საზოგადოებებთან მუშაობის სტილზე.	• სამუშაო გამოკითხვები და ვორქშოპები; • ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი; • შესრულების მენეჯმენტი; • მომსახურების მიწოდებაზე დადებითი ცვლილებები; • ჩართულ თანამშრომლებთან ინტერვიუები.	მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართული თანამშრომლების არანაკლებ 30 პროცენტმა დაამყარა ახალი სამუშაო ურთიერთობები.
რამდენად ეფექტიანად იქონია ზეგავლენა მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ საზოგადოებრივ ჩართულობაზე?			
რამდენი მონაწილე გრძნობს თავს მეტად დაკავშირებულად საკუთარ საზოგადოებასთან მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის შედეგად?	იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მისცა შესაძლებლობა მონაწილეებს იგრძნონ თავი მეტად დაკავშირებულად საკუთარ ადგილობრივ საზოგადოებასთან, რამდენად დაეხმარა სოციალური ერთიანობის შეგრძნების გაძლიერებაში?	მონაწილეთა კითხვარები	მონაწილეების არანაკლებ 90 პროცენტი
რამდენმა მონაწილემ დაამყარა ახალი ურთიერთობები და კავშირები, მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის შედეგად?	გავლენის დადგენა იზოლირების შემცირებასა და სოციალური კაპიტალის გაზრდის თვალსაზრისით	მონაწილეთა კითხვარები	მონაწილეების არანაკლებ 30 პროცენტი
მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულობის შედეგად, რამდენი მონაწილე იყო აქტიურად	მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შედეგად საზოგადოების მონაწილეობის ცვლილებისა და ზრდის ასახვა.	• მონაწილეთა კითხვარები; • მოსახლეობის გამოკითხვა.	მონაწილეთა რანაკლებ 50 პროცენტი

ჩართული საზოგადოებრივ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში?			
რა დონემდე მოიცვა მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ ის ადამიანები, ვინც აქამდე არ იღებდა მონაწილეობას საზოგადოების დაქმიანობაში?	მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შედეგად, ახალი საზოგადოებრივი ჩართულობის ასახვა.	• მონაწილეთა კითხვარები; • ფოკუს ჯგუფები; • ინტერვიუები; • მოსახლეობის გამოკითხვები.	მონაწილეების არანაკლებ 10 პროცენტი მანამდე არ იღებდა მონაწილეობას საზოგადეობის ჩართულობაში.

ცხრილი # 19 გაუმჯობესების გეგმა:

გაუმჯობესების ხელშწყობის რა შესაძლებლობა გვაქვს?			
როგორ ვუპასუხებთ გამოვლენილ ხარვეზებს და საკითხებს მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად?			
სფეროები გაუმჯობესებისთვის	**ქმედებები და ვალდებულებები**	**ვადები**	**შედეგი**
თვლიან თუ არა მონაწილეები, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირება მათ აძლევთ საშუალებას დააფიქსირონ საკუთარი ხმა ადგილობრივი პრიორიტეტების და გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებაში?	მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფართო დემოკრატიული გავლენის ასახვა	• მონაწილეთა კითხვარები; • ფოკუს ჯგუფები • ინტერვიუები.	მონაწილეების არანაკლებ 70 პროცენტი
რამდენად განხილვადი იყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი?			
რა დონეზე იძლევა მონაწილეობითი ბიუჯეტირება შესაძლებლობას, გაიგოთ მეტი საზოგადოებრივ საჭიროებებზე და პრიორიტეტებზე?	მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობიდან მიღებული ფართო ცოდნის ასახვა.	• ფოკუს ჯგუფები; • მონაწილეთა კითხვარები; • ინტერვიუები; • სადამკვირვებლო ჩანაწერები.	კმაყოფილების დონე არანაკლებ 70 პროცენტი
მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესმა რამდენად გახადა შესაძლებელი გან-	მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში	• მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებისას გამოყენებული მეთოდი;	მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართულთა 80

ხორციელებულიყო ადგილობრივი გამოწვევებისა და პრიორიტეტების განხილვა სხვა მონაწილეებთან (კენჭისყრამდე)?	დიალოგის მოცულობისა და სიღრმის ასახვა.	• პროგრამის გეგმის ასლი; • სადამკვირვებლო ჩანაწერები; • ფოკუსჯგუფები.	პროცენტი მიიჩნევს რომ აღნიშნული განხორციელდა
რა დონემდე მისცა შესაძლებლობა მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ მონაწილეებს შეესწავლათ/შეემოწმებინათ წინადადებები?	დეტალებისა და ინფორმაციის დონის ასახვა, რომელიც ხდება ხელმისაწვდომი მონაწილეებისთვის; ასევე რამდენად იყო შესაძლებლობა განხილულიყო დაფინანსებული წინადადებები.	• მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებისას გამოყენებული მეთოდი; • სადამკვირვებლო ჩანაწერები; • ფოკუს ჯგუფები.	შესაბამისი ჩართული მხარეების მიერ აღნიშნული შესაძლებლობა შეფასებულია არანაკლებ 90 პროცენტით.
როგორი ზეგავლენა მოახდინა წარმოდგენილმა ინფორმაციამ გადაწყვეტილებათა მიღებაზე?	მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში მონაწილეების მიერ მოწყობილი განხილვის მოცულობის ასახვა.	კითხვების ნიმუშები: • როდესაც გადაწყვიტეთ პროექტის მხარდაჭერა, რა იყო ამ მხარდაჭერის მიზეზები? (მონიშნეთ ყველა გამოსადეგი): ✓ მხარი დავუჭირე იმ პროექტებს, რომლებიდანაც სარგებელი მექნებოდა; ✓ მხარი დავუჭირე იმ პროექტებს, რომლებიდანაც სარგებელი ექნებოდათ ჩემს ოჯახს და მეგობრებს; ✓ მხარი დავუჭირე იმ პროექტებს, რომლებიდანაც სარგებელი ექნებოდა ჩემს თემს/საზოგადოებრივ ჯგუფს; ✓ სხვა მიზეზები; • იყო თუ არა თქვენი საბოლოო არჩევანი განპირობებული იმით, რაც გაიგეთ ამ პროცესის პერიოდში? (გთხოვთ, დაასახელოთ);	მონაწილეთა არანაკლებ 90 პროცენტი მიიჩნევს რომ აღნიშნულმა ზეგავლენა იქონია გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

		• რამდენად უკავშირდება თქვენს გადაწყვეტილებას პროცესის შემდეგი ნაწილები: ✓ საზოგადოებაზე ახალი ინფორმაციის მიღება/შესწავლა; ✓ თქვენი თემისთვის/საზოგადოებრივი ჯგუფისთვის სხვებთან ერთად პრიორიტეტების განხილვა; ✓ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს გარეთ საუბრები (მეგობრები, ოჯახი, მეზობლები).	

ასევე აღსანიშნავია, რომ ცალკეული კითხვები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ერთგვარი საზომი, რომლებიც აჩვენებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოტენციურ გავლენას ისეთ სამ სფეროში, როგორებიც არის სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრება; მონაწილეობა და სამართლიანობა; მმართველობა. კერძოდ:

სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრება:

- რამდენად უზრუნველყოფს მონაწილეობითი ბიუჯეტირება მოსახლეობის მნიშვნელოვანი და მზარდი რაოდენობის მონაწილეობას, მათ შორის მათი, ვინც ვერ ან არ მონაწილეობს აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში (საზომი 1, 2, 3, 4, 5)?
- რამდენად უწყობს ხელს მონაწილეობითი ბიუჯეტირება სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობას (საზომი 6) ?
- ასოცირდება თუ არა მონაწილეობითი ბიუჯეტირება არჩეული პირების პოლიტიკურ საქმიანობასთან (საზომი 7) ?

ჩართულობა და სამართლიანობა:

- უწყობს თუ არა ხელს მონაწილეობითი ბიუჯეტირება ტრადიციულად საზოგადოების მარგინალური ნაწილის მონაწილეობას საზოგადოებრივ პროცესებში (საზომი 8)?
- რა საშუალებებით უწყობს ხელს მონაწილეობითი ბიუჯეტირება მონაწილეობას (საზომი 9) ?
- უწყობს თუ არა ხელს მონაწილეობითი ბიუჯეტირება რესურსების სამართლიან განაწილებას (საზომი 10) ?

მმართველობა:

- როგორ იცვლება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესების რაოდენობა და მონაწილეობით ბიუჯეტირებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების ოდენობა წლიდან წლამდე (საზომი 11, 12) ?
- როგორია წარმატებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტების განხორციელების მაჩვენებელი (საზომი 13) ?

- გამოიყო თუ არა დამატებითი რესურსები პროექტებზე ან საჭიროებებზე, რომლებიც გამოავლინა მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ (საზომი 14) ?
- რა უჯდება მთავრობას მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელება (საზომი 15)?

რაც შეეხება კონკრეტულ საზომ კითხვებს, ისინი შემდეგი სახით შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული:

ცხრილი #20 მონაწილეობითი ბიუჯეტირების ძირითადი საზომები

საზომი	აღწერილობა	პირველადი წყარო[6]	მეორადი წყარო [7]
გავლენა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე			
1.მონაწილეობითი ბიუჯეტირების მონა-წილეების რაოდენობა და მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქეების პროცენტულობა	მიუთითებს მონაწილეობი-თი ბიუჯეტირების მისაწ-ვდომობაზე და მიზნობრივი მოსახლეობის პროექტში მოზიდვის შესაძლებლო-ბაზე.	კითხვარი შემფასებლებისთვისა და შემსრულებლებისთვის: ✓ შეკრებებისა და იდეების შეგროვების ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა; ✓ იდეების ონლაინ დამფიქსი-რებლების რაოდენობა; ✓ აქტიური საბიუჯეტო დელე-გატების რაოდენობა, ხმის მიმცემთა რაოდენობა.	მონაწილეობით ბიუჯეტირებაში მონაწილეობაზე უფლებამოსილი მოქალაქეების რაოდენობის შეფარდება მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ხმის მიმცემ მოქალაქეების რაოდენობასთან.
2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების იმ მო-ნაწილეების რაოდე-ნობა და პროცენტუ-ლობა, ვისაც შეეძლო ხმის მიცემა, მაგრამ არ მიუცია ხმა ბოლო ადგილობრივ არჩევნებზე.	მიუთითებს მონაწილეობი-თი ბიუჯეტირების შესაძ-ლებლობაზე რომ საზოგა-დოებრივ პროცესებში მონა-წილეობისათვის მოიზიდოს ის მაცხოვრებლები, რომლე-ბიც არ მონაწილეობდნენ აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში.	ხმის მიმცემთა გამოკითხვა: მიეცით თუ არა ხმა ბოლო ადგი-ლობრივ არჩევნებზე (მიუთი-თეთ წელი და არჩევნების ტიპი)? არ ვარ უფლებამოსილი/არა, ვარ უფლებამოსილი/დიახ, ხმა მივეცი/არ ვარ დარწმუნებული	ხმის მიცემის ასაკის მოქალა-ქეების რაო-დენობის შედა-რება ოფიციალურ მონაცემებთან
3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების იმ მონაწილეების რაო-	მიუთითებს მონაწილეობი-თი ბიუჯეტირების შესაძ-ლებლობაზე, რომ გააქტი-	ხმის მიმცემთა გამოკითხვა: მიეცით თუ არა ხმა ბოლო ადგილობრივ არჩევნებზე	

[6] მონაცემთა პირველადი წყარო ნიშნავს იმას, რომ მონაცემთა შეგროვება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი შემფასებლების მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის საკვანძო ეტაპების დროს.

[7] მონაცემთა მეორადი წყარო ნიშნავს იმას, რომ მონაცემთა შეგროვება შეიძლება განხორციელდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესების შემდეგაც, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების გამოყენებით, სხვა ადგილობრივი შემფასებლების, ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

დენობა და პროცენ-ტულობა, რომლებიც არ არიან უფლებამო-სილი ხმა მისცენ ადგილობრივ არჩევნებზე.	ურუოს მოსახლეობა, რომე-ლიც არ არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში ასაკის, ემიგრაციის ან სხვა მიზეზის გამო.	(მიუთითეთ წელი და არჩევნების ტიპი)? არ ვარ უფლებამოსილი/არა, ვარ უფლებამოსილი/დიახ, ხმა მივეცი/არ ვარ დარწმუნებული	
4. მონაწილეების რაო-დენობა და პროცენ-ტულობა, რომლებიც მანამდე გამოხატავ-დნენ და აფიქსირებენ აქტიურ სამოქალაქო საქმიანობას ან მონაწილეობას.	მიუთითებს მონაწილეობი-თი ბიუჯეტირების შესაძ-ლებლობაზე მიიზიდოს სა-მოქალაქო კუთხით ნაკლე-ბად აქტიური მოქალაქეები.	იდეების შეგროვების პროცესში მონაწილეთა და ხმის მიმცემთა გამოკითხვა: ბოლო 12 თვის განმავლობაში, მუშაობდით თუ არა თქვენი დასახლების სხვა მაცხოვრებ-ლებთან პრობლემის მოგვარების ან დასახლებაში უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, იმ სამუშაოს თუ არ ჩავთვლით, რომელიც უკავშირდება მონაწი-ლეობით ბიუჯეტირებას? A: დიახ/არა/არ ვარ დარწმუნებული	
5. მონაწილეების რაო-დენობა და პროცენ-ტულობა, რომლებიც აფიქსირებენ, რომ არიან ახალი წევრები ან უბრუნდებიან მო-ნაწილეობითი ბიუჯე-ტირების პროცესს.	მიუთითებს დროის განმავ-ლობაში მონაწილეობით ბიუჯეტირებაში მონაწილე-ების ზრდას და მათ შენარ-ჩუნებას, ასევე - მონაწილე-ობის სხვადასხვა მოდელს.	იდეების შეგროვების პროცესში მონაწილეთა გამოკითხვა: მიიღეთ თუ არა რაიმე ფორმით მონაწილეობა წინა მონაწილეო-ბით ბიუჯეტირებაში? ხმის მიმცემთა გამოკითხვა: მიეცით თუ არა ხმა წინა მონაწი-ლეობით ბიუჯეტირებაში?	
6. არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანი-ზაციების რაოდენობა, რომლებიც ჩართული არიან მონაწილეობით ბიუჯეტირებაში.	მიუთითებს იმ მასშტაბზე, რომლითაც მონაწილეობი-თი ბიუჯეტირება მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებას. ასევე, მიუთითებს პროცესე-ბის განხორციელების ვარიაციებზე.	კითხვარი შემფასებლებისა და შემსრულებლებისთვის: რაო-დენობა და სახელები იმ ორგანი-ზაციებისა, ვინც დაეხმარა იდეე-ბის გავრცელებაში, დაესწრნენ მმართველი კომიტეტების აქტი-ვობებს, მიიღეს დაფინანსება პროექტების განხორციელების მიზნით.	
7. არჩეული პირების რაოდენობა და პრო-ცენტულობა, რომლე-ბიც განმეორებით აირჩიეს.	ეხმარება პროექტს, რომ დროის განმავლობაში შე-ფასდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების კავშირი თანამდებობის პირების საქმიანობასთან.		მედია

გავლენა ჩართულობასა და სამართლიანობაზე			
8. მონაწილეების რაოდენობა და პროცენტულობა, რომლებსაც აქვთ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ან წარმოადგენენ ეთნიკური უმცირესობებს;	მიუთითებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოტენციალზე ჩართოს პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირებული ჯგუფები.	იდეების შეგროვების პროცესში მონაწილეთა და ხმის მიმცემთა გამოკითხვა: ეთნიკურობა, შემოსავალი, განათლება, სქესი, ასაკი.	შედარებები ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხმის მიმცემთა დემოგრაფია ადგილობრივ არჩევნებში.
9. ხელმისაწვდომობის ინდიკატორები იდეების შეგროვების, პროექტების შექმნისა და ხმის მიცემის ეტაპებზე.	მოიცავს პროცესის განხორციელების ასპექტებს, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას იდეების შეგროვების, პროექტების შექმნისა და ხმის მიცემის ეტაპების დროს.	კითხვარი შემფასებლებისა და შემსრულებლებისთვის: ✓ შეკრებების და იდეების შეგროვების ღონისძიებების რაოდენობა, იდეების ონლაინ შეგროვება, გავრცელების მეთოდები; ✓ საბიუჯეტო დელეგირებული კომიტეტების რაოდენობა და სახეობა; ✓ რეგისტრირებული ხმის მიცემის პუნქტების რაოდენობა; ✓ მოძრავი ხმის მიცემის ადგილების რაოდენობა; ✓ ონლაინ ხმის მიცემა, გავრცელების მეთოდები. იდეების შეგროვების მონაწილეთა და ხმის მიმცემთა გამოკითხვა: ,,პირველად საიდან შეიტყვეთ დღევანდელი ღონისძიების/ხმის მიცემის შესახებ?	
10. მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფინანსური რესურსების განაწილება პროექტების ტიპის მიხედვით (შედარება უნდა გაკეთდეს მონაწილეობით ბიუჯეტირებისათვის წინა პერიოდში გამოყოფილ ფინანსურ რესურსებთან).	აღწერს თუ როგორ ხდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფინანსური რესურსების განაწილება სხვადასხვა ტიპის პროექტებზე. ასევე, იძლევა ინფორმაციას მონაწილეობითი ბიუჯეტირების თანხების ალოკაციის, განაწილების განსხვავებებისა და თანხების სამართლიანი განაწილების შესახებ.		გამარჯვებული პროეტების რაოდენობა, პროცენტულობა და ფულადი მოცულობა პროექტების კატეგორიის მიხედვით; მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხმის მიცემის ბიულეტინების

			(ballot items) რაოდენობა, პროცენტულობა და დაფინანსების მოცულობა პროექტების კატეგორიის მიხედვით; პროექტების რაოდენობა, პროცენტულობა და დაფინანსების მოცულობა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრიორიტეტული პროექტების კატეგორიების მიხედვით.
გავლენა მმართველობაზე			
11. წლიდან წლამდე მონაწილეობითი ბიუ-ჯეტირების ახალი, გაგრძელებული და შეჩერებული პროცესების რაოდენობა.	აკვირდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესების ზრდასა და მდგრადობას დროთა განმავლობაში.		აქტიური მონაწილეობითი ბიუჯეტირება პროცესების დათვლა; პირველადად დათვლილი, გაგრძელებული და შეჩერებული პროცესები.
12. მონაწილეობით ბიუჯეტირაზე გამოყოფილი თანხების ოდენობა და პროცენტულობა.	აკვირდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებისთვის განსაზღვრულ თანხას ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში.	კითხვარი შემფასებლებისთვის და შემსრულებლებისთვის: მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა; ბიუჯეტირების წყარო და იმავე წლის ბიუჯეტირების წყაროში მთლიანი მოცულობის რაოდენობა.	
13. პროექტების დასრულების ტემპი და საბოლოო ღირებულება.	ხაზს უსვამს გამარჯვებული პროექტების რაოდენობას და პროცენტულობას და ასევე იმას, თუ რა თანხა დაიხარჯა დასრულებულ პროექტებზე (უნდა შედარდეს იმას, თუ რამდენი თანხა იყო		საჯარო ჩანაწერები: პროექტების განხორციელების სტატუსი, განხორციელების საერთო ხარჯი (და საწყისი ეტა-

	განსაზღვრული).		პისთვის გამოყოფილი თანხის პროცენტულობა).
14. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში იდენტიფიცირებული პროექტებისა და საჭიროებებისთვის გამოყოფილი დამატებითი თანხის ოდენობა.	განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოტენციალს საზოგადოებისთვის დამატებითი თანხების მობილიზების კუთხით და/ან განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სხვაგვარად მიემართოს თანხები საკითხის აქტუალობის გაზრდის შემთხვევაში.	კითხვარი შემფასებლებისთვისა და შემსრულებლებისთვის: შეგიძლია გაიხსენო პროექტი/პროექტები, რომლებიც იდენტიფიცირდა ან განხორციელდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შედეგად, რომლებმაც მიიღო დაფინანსება სხვა წყაროებისგან და არა უშუალოდ მონაწილეობითი ბიუჯეტირებიდან? რა თანხა იყო ეს და რა წყაროსგან იქნა მიღებული?	
15. მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებისთვის დახარჯული ფინანსური რესურსის (ლარის) ოდენობა.	ხდის გამჭვირვალეს თუ რა თანხა დაიხარჯა განხორციელებაზე და თუ როგორ შეეფარდება ეს თანხა გამოყოფილ ბიუჯეტს, პროცესის ხარისხის ინდიკატორებისა და შედეგების გათვალისწინებით.	კითხვარი შემფასებლებისთვისა და შემსრულებლებისთვის: შეგიძლია წარმოადგინო თანხის ოდენობის გაანგარიშება, რაც დაიხარჯა მუნიციპალიტეტის მიერ თითოეულ მათგანზე მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელების დროს? [...]	

III. შეჯამება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შესაჯამებლად აუცილებელია კარგად გამართული მონიტორინგის და შეფასების სისტემა. როგორც გამოიკვეთა, მონიტორინგი და შეფასება ეს არის პროცესის ორი განსხვავებული გზა და დამხმარე ინსტრუმენტი პროგრამის თუ პროექტის გაზომვა/შეფასებაში, ასევე იმის დადგენაში, თუ რამდენადაა შედეგზე ორიენტირებული გაწერილი ღონისძიებები და რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მისაღწევად. ამავე დროს, აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება უზრუნველყოფს პროგრამის დროულ და დინამიკურ განახლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროცესის საბოლოო მიზნების მიღწევას და განხორციელების ხარჯების ეფექტიანობის ზრდას.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, მონაწილეობით ბიუჯეტირებაზე მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ასიგნებების 2-დან 10 პროცენტამდე არის მიმართული, არსებობს შემთხვევები, როდესაც მიმართული ასიგნებების ოდენობა 10 პროცენტზე მეტია. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელი, თავისი არსით, პროექტული სახის საქმიანობაა, რომელიც ორწლიანი პროცესის ფარგლებში ადმინისტრირებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ოდენობის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზებას საჭიროებს.

ფისკალური დეცენტრალიზაციის მნიშვნელობის გამო, მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების მოცულობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად, გაიზრდება მონაწილეობით ბიუჯეტირებაზე მიმართული სახსრებიც. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მონაწილეობით ბიუჯეტირებაზე მიმართული თანხების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენების საკითხს. ამ მიზნით კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ჯეროვნად დაგეგმვა და განხორციელება.

გამოყენებული წყაროები

1. A Manager's Guide to Evaluating Citizen Participation. Tina Nabatchi. Syracuse University. IBM Center for The Business of Government. Fostering Transparency and Democracy Series 2011.
2. Glasgow City Council. Glasgow Community Plannig Partniorship. Glasgow's Participatory Budgeting Evaluation Toolkit.
3. 15 Key Metrics for Evaluating Participatory Budgeting: A Toolkit for Evaluators and Implementers. Public Agenda. Participatory Budgeting Project.
4. Participatory Budgeting Self-evaluation Toolkit (PB Partners). University of Bradford.
5. Civil Participation in the Dicision-making process. The code of good practice. Council of Europe.
6. Participation Index for Cities and Municipalities. Participatory Democracy Incubator. Council of Europe.
7. Code of Ethics. International association for public participation.
8. Core Values. International association for public participation.
9. IAP2 Spectrum of Public Participation. International association for public participation.
10. მონაწილეობითი ბიუჯეტირების გზამკვლევი. GIZ. თბილისი 2020.
11. სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
12. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".
13. საქართველოს მთავრობის 31.12.2019 წლის # 678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ".
14. საქართველოს მთავრობის 20.12.2019 წლის # 629 დადგენილება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ".

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო

თბილისი 2022 © CSI

ადგილობრივი განვითარების აქტორებს შორის
მყარი კავშირების დამყარება